საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 9 ივლისი, 2015 წელი.

№126 (7771)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

მაბეზღარ-ცილისმწამებელ კინწურ-მინწურების გასაგონად!

ალებულ კურსს არ მივატოვებთ!

უჩვეულოდ ფხიზელ დროში ვცხოვრობთ: ვინმემ გულშიც რომ გაივლოს ბიუჯეტის ღალატი, უმალ სწვდება მას ყელში ჩვენი რომელიმე არქიფხიზელი არასამთავრობო ორგანიზაცია ფოლადის ხელით და ამ ზრახვას თავიდან გამოუბერტყავს.

აი, ახლაც, მედიის განვითარების ფონდმა ანგარიში გამოაქვეყნა და გაზეთები „ამხილა“. მაგალითად, „საქართველოს რესპუბლიკა“ 2013-2014 წლებში მისდგომია ბიუჯეტს და 63923.33 ლარი ჩამოუკბეჩია.

ოღონდ მედიის განვითარების ფონდი იქვე მორცხვად ჩურჩულებს, რომ ეს ჩამოკბეჩა რეკლამის განთავსების ანგარიშზე მომხდარა. აქვე სხვა გაზეთ-მკბეჩავებსაც ასახელებს ჩამოკბეჩილი მოცულობის ჩვენებით.

სდექ!

ფონდმა კარგად იცის, რომ თუ ვინმე გაზეთს რეკლამის გამოქვეყნებას შეუკვეთავს და ფულს გადაუხდის, ეს წმიდათაწმიდა საქმეა. „ალებ-მიცემობის“ ეს ფორმა საყოველთაოდ მიღებული, მსოფლიო მასშტაბით გავრცელებულია. უფრო მეტიც, ბევრ მედიასაშუალებას სწორედ ამით უდგას სული.

მედიის განვითარების ფონდმა და უშუალოდ თამარ კინწურაშვილმა გაზეთების ამ „ბიზნესის“ ამბავი მშვენივრად უწყიან, ისიც იციან, რომ მაგალითად, „საქართველოს რესპუბლიკას“ მხოლოდ მოგებული ტენდერების საშუალებით, მკაცრად, ამ ტენდერების პირობების მიხედვით აქვს სახელმწიფო დაწესებულებებთან ფინანსური ურთიერთობა.

მაშ, რატომ აჭყეტს ასე გულუბრყვილოდ თავის ლამაზ თვალებს თამარ კინწურაშვილი? სწორედ აქ არის ჩამარხული ძაღლის თავი: იმიტომ მოიგიჟიანეს ძვირფასმა ფონდმა და მისმა უფრო ძვირფასმა ლიდერმა თავი, რომ თურმე ლაპარაკია **„სიძულვილის ენის და ანტიდასავლური განწყობების გამავრცელებელ მედიაზე“, „იმ მედიასაშუალებებზე, რომლებიც სიძულვილის ენით, ქსენოფობიით, ჰომოფობიითა და ანტიდასავლური განწყობების გაღვივებით გამოირჩევიან“**. ჩამოთვლილი არიან **„საქართველოს რესპუბლიკა“, მედიაკავშირი „ობიექტივი“, „ალია“, „კვირის ქრონიკა“, „ასავალ-დასავალი“.**

ერთი სიტყვით, ათასგვარ ცოდვაში დაბეზღებული და ცილდაწამებულია ყველა კითხვადი და პატივცემული მედიასაშუალება. დაბეზღებულია უნამუსოდ, ბილწად, 37 წლის ტრადიციებით.

შემდეგ მოდის ფონდის **„რეკომენდაციები“** (აბა ის არის თუ არის!): **„საქართველოს ხელისუფლებამ და მისმა ცალკეულმა უწყებებმა გაითვალისწინონ ევროსაბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის რეკომენდაციები ეროვნული კანონმდებლობის შესახებ და არ გაუფორმონ კონტრაქტები ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც დისკრიმინაციულ სარედაქციო პოლიტიკას ატარებენ“.**

ერთი სიტყვით, მაბეზღარა „მედიის განვითარების ფონდი“ ტყავიდან ძვრება, რათა როგორმე საერთაშორისო რისხვა დაატეხოს „შერისხულ“ გაზეთებს, როგორმე ხმა მიაწვდინონ საქართველოს ხელისუფლებას და მის ცალკეულ უწყებებს, ადმინისტრაციულ ორგანოებს“.

რატომ გამოიდეს თავი ფონდმა და მადამ კინწურაშვილმა ისეთ უმადურ საქმეზე, როგორიც ცილისწამება, მაბეზღრობაა? **პასუხი ერთადერთია – იმიტომ, რომ ამ ბოლო ხანს მართლაც ძალიან გავემიჯნეთ „დასავლურ განწყობას“, „ამერიკულ ნოვაციას“ – ერთსქესიანთა ქორწინების საყოველთაოდ დაკანონების ცდას.**

პირობას ვდებთ: რაგინდ არ უნდა აიქაფოს პირი ფონდმა, რომელიც, საცა სამართალია, მხარში უნდა გვედგეს ქსენოფობიის, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლაში, აქეთ გვაბრალებს ერთსაც და მეორესაც. რაც შეეხება ჰომოსექსუალიზმის გმობას, რასაც, როგორც ჩანს, კბილებით იცავს ჩვენი დასავლეთუმე, ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს, ჩვენ კი კვლავაც არ მივატოვებთ ალებულ კურსს, ფონდმა და ნაციონალების შხამიან ძუძუმწოველმა კინწურაშვილმა სულაც ვენები რომ გადაიჭრან!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

P. S. პრესის განვითარების ფონდის დიოფალო თამარ, იქნებ მაგ პრესის ფონდის დაფინანსების ამბავიც გაგეცნო საზოგადოებისთვის. და კიდევ: რომელი პრესის განვითარებას შეუწყე ხელი, სახელდებით დაგვისახელე, თუ ქალი ხარ! ისე, ისიც ძალიან საყურადღებოა, რა ფულის წყაროთი სულდგმულობს ეგ შენი ეგრეთ წოდებული პრესის განვითარების ფონდი.

ბოლოს და ბოლოს, გაგვეცანი, ვინ ხარ ჩვენო შარიანად ჩასაფრებულო დასავლეთუმე ინსპექტორო!

ელიზბარ ჯაველიძე:

ნახევარი ამერიკა „გაპედერასტებულია“, ახლა მსოფლიოს „გაპედერასტება“ უნდათ!

④

ალექსანდრე თვალჭრელიძე:

თუ არ იქნა ერთიანი ეკონომიკური განვითარების მოდელი, ღარიბი ქვეყნები ევროკავშირს ჩამოშორდებიან

⑤

უკრაინაში ნაციონალების განდევნის პროცესი დაიწყო

②

ეროვნული მოძრაობა – ნაცების ახალი ნავსაყუდელი?!

②

ისტორიის საიდუმლოებან

⑥

იმპერატორს ის ღამე მისთვის საგანგებოდ მოწყობილ კოჯრის ციხეში გაუთევია. სწორედ ამ ციხეში, დიდად ნასიამოვნებ იმპერატორს, ქართველმა თავადებმა ქალწული მარიამ (მაიკო) ქაიხოსროს ასული ორბელიანი მიჰგვარეს.

ვიკითხოთ მაინც, ვინ იყო ამ სამარცხვინო საქმის ინიციატორი. ვის ეკუთვნოდა ეს იდეა ნიკოლოზ პირველის მოსასვენებელში მაიკო ორბელიანის მიგვრისა?

როცა სასურველს რეალობად ილებენ

◎ მხილება

როცა მკვდარი მკვდარს ეკიდება!..

ეროვნული მოძრაობა – ნაცების ახალი ნავსაყუდელი?!

ქართულ პოლიტიკურ სიჭრელეში, არსებულ ვითარებაზე უფრო გასაოცარი და გამაოგნებელი თუ მოხდებოდა რამე, ძნელი წარმოსადგენი იყო... თუმცა აგერ, ბატონო, ცინცხალი ამბავი: — ერთ ხანს ქობულეთური ფიჭვის ძირას ძუძუს გოჭივით გაყურსული კობა ხაბაზის ინიციატივით, დაიწყო ირაკლი წერეთლისა და ნაციონალური მოძრაობის დაახლოება; ახლა, თუ ვინმეს სჯერა, რომ ეს პროცესი მართლა კობა ხაბაზის მოფიქრებულია და ამ იდეისთვის ხორცის შესხმაც თავად გადაწყვიტა — ნეტარ იყოს. რა თქმა უნდა, ამ მორიგი ფარსის უკან ნაცების მთავარი იდეოლოგი ბატონი ბოკერია დგას. აკი განაცხადა კიდეც: — ირაკლი წერეთელი საქართველოს თავისუფლების სიმბოლოაო. ამ ჩვენს სიმბოლოს, ეტყობა, ეამა მოფერება (საერთოდ თუ იყო საქართველოში, ისიც კი ბევრმა არ იცოდა), ტელეეკრანზე გამოჩენაც მოენატრა, ალბათ, და ომახიანად დასჭექა: ვინც არ ჩაერთვება ატლანტიკური მიმართულების დემონსტრაციაში, ყველას „დეზერტირად“ გამოვაცხადებო. ღმერთო! შენ დაგვიფარე და, ამ და სხვა ნებისმიერი იარლიყების მიწებება ვითომ ირაკლი წერეთლის საქმეა? აქ ძაღლის თავი აშკარად სხვაგან არის დამარხული, ცოტა თუ ჩავუფიქრდებით, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, სად. ნაციონალურ მოძრაობაში ცდილობენ, იპოვონ ახალი სახე. ეს ორგანიზაცია ბევრის თვალში კვლავ ასოცირდება ყველაფერ ეროვნულთან მებრძოლ ძალად, რომელიც ცდილობს ყოველივე ქართულის მოშლას. ამ იარლიყის მოხსნა ნაციონალებმა ადრეც სცადეს, როცა დაუახლოვდნენ გოგი ოჩიაურს, ნუგზარ წიკლაურსა და ეკა ხერხეულიძეს და მათი დახმარებით სცადეს გამსახურდიას მომხრეების გულების მოგება. თუმცა, როგორც ჩანს, ბოლო საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნების შედეგებმა ნაციონალების იმედები გააცრუა. ამჯერად, მათ კიდევ ერთხელ გადაწყვიტეს ეროვნულ მოძრაობასთან ასოცირება და ამჯერად პარტნიორებად აირჩიეს წერეთელი და სარიშვილი. დიახ, იქნებ გაგიკვირდეთ და, ირინა სარიშვილიც.

ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ეროვნული მოძრაობის უწმინდეს დროშას თავისი ბინძური ხელებით ნაციონალები წაეპოტინენ. ის, რომ წერეთელი და სარიშვილი მათ „გაპრავებას“ ცდილობენ, ქვეყნისთვის არც ისე დიდი უბედურებაა (როგორც იქნა, ნიღაბი მოიხსნეს). სამწუხარო და სავალალო ის არის, ნაცების სისხლიანი სექტა ამდენს რომ ბედავს და კიდევ უფრო უარესია, ამდენის გაბედვის უფლებას რომ აძლევენ!!! ყოვლად უაზრო კოჰაბიტაციამ, საყოველთაო მიჩუმათებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ბატკნის ტყავში გამოხვეული დამნაშავეები ილიას, აკაკის, ქაქუცას, ზვიადისა და მერაბის დროშას წაეპოტინნენ...

დასასრულ, ერთ რჩევას მივცემ ამ წერილში ჩამოთვლილ ბატონებსა და ქალბატონებს: — ხალხის მოთმინების გამოცდა დიდად საფრთხილო საქმეა, რადგან, თუ ფიალა აივსო, უსაზღვროა რისხვა, რომელიც თავს დაგატყდებათ, დაიმახსოვრეთ და ილოცეთ (თუკი რამ წმინდა გაგაჩნიათ), რომ ასე არ მოხდეს...

P. S. გენიალური ქართული ანდაზაა: „მკვდარი მკვდარს აეკიდა, ორივე სამარის კარსო“...

ნიკა ჭავჭავაძე
რეპორტიორი

◎ ინფორმაცია

აიკრძალოს ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციები!

თბილისში, ჯანსუღ კახიძის ქუჩაზე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფისის წინ სხვადასხვა ტაძრების მრევლისა და სასულიერო პირების მშვიდობიანი ლოცვითი აქცია გაიმართა.

სასულიერო პირებმა პარაკლისი გადაიხადეს. აქციის მონაწილეებს თან ჰქონდათ პლაკატები. მათი განცხადებით, ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციები უნდა აიკრძალოს.

აქციასთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა საია-ს თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილმა. მისივე თქმით, ყველა ადამიანს აქვს შეკრებისა და გამოხატვის უფლება. ანა ნაცვლიშვილის თქმით, თუ იმ ადამიანების უფლებები იქნება დარღვეული, რომლებიც აქციაზე შეიკრიბნენ, საია მზად არის, მათაც უანგაროდ დაეხმაროს, ისევე როგორც სხვა ადამიანებს ეხმარება.

„ყველა ის დონორი, რომელთანაც საია თანამშრომლობს, ასევე აფინანსებს არაერთ სახელმწიფო უწყებას და არაერთი პროექტი ხორციელდება მათი მხარდაჭერით. ამ დაფინანსებით ჩვენ არაერთ მოქალაქეს გავუწიეთ დახმარება. საია არის ის ორგანიზაცია, რომელიც ათობით ადამიანს უფასოდ ეხმარება, დევნილებს, ბავშვებს, ქალებს, პატიმრებს. საკონსტიტუციო სასამართლოში ვაწარმოებდით ძალიან მნიშვნელოვან საქმეებს. ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში სწორედ ამ დონორების დახმარებით მიგვაქვს საქმეები, როდესაც ხდება წამება, არასათანადო მოპყრობა. ამ თანხებს იყენებს ყოველთვის საია, როდესაც ადამიანებს უჭირთ და სჭირდებათ დახმარება“, — აღნიშნა ანა ნაცვლიშვილმა.

სხვადასხვა ეკლესიის სასულიერო მრევლმა და სასულიერო პირებმა მანამდე აქცია რუსთაველზე, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ოფისის წინ გამართეს და იგივე მოთხოვნები დააყენეს.

დახმარების გაცემა დაიწყო

როგორც საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და სამოქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე გოჩა ბაბუნაშვილმა განაცხადა, სტიქიით დაზარალებული ყველა ადამიანის საკითხი ინდივიდუალურად იხილება.

მისი თქმით, სტიქიით დაზარალებულებისთვის შეთავაზებულია ზიანის ანაზღაურების ორი ვარიანტი.

„სტიქიის შედეგად 35 ოჯახი უსახლკაროდ დარჩა, რომელთაც ფაქტობრივად დაენგრათ სახლები. ისინი სახელმწიფოსგან მიიღებენ თანხობრივ დახმარებას და ამის გარდა, სულადობის მიხედვით გადაეცემათ საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად თანხა 8 ათასიდან 10 500 ლარამდე“, — განაცხადა ბაბუნაშვილმა.

მისივე თქმით, მათ, ვისაც ნაწილობრივ გაუნადგურდა საცხოვრებელი სახლები, მიმდინარეობს ექსპერტიზის ბიუროს მიერ მისი შესწავლა.

„2 თვის განმავლობაში იმის შემდეგ, რაც დაზარალებული შეთანხმდება სახელმწიფოსთან, რომ მან უნდა მიიღოს თანხა, 2 თვის განმავლობაში მოძებნის ბინას და პლუს მიიღებს კომპენსაციას. სასტუმროში ქირის გადახდას სახელმწიფო შეწყვეტს მას შემდეგ, რაც ის უკვე დაკმაყოფილდება ბინით და კომპენსაციით“, — განაცხადა ბაბუნაშვილმა.

რაც შეეხება დაუზღვეველ მანქანებს, რომლებიც სტიქიის შედეგად განადგურდა, ურბანული კომისიის თავმჯდომარე ამბობს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულოში მსჯელობენ.

◎ ვითარება

უკრაინაში ნაციონალების განდევნის

აქა ამბავი სახლში არ ვარგებული და სანადიროდ გაქცეული ძაღლებისა

საპროტესტო აქციაზე მიყვანილი წითელჰალსტუხიანი თხა და მოთხოვნა მიხეილ სააკაშვილის გადადგომის თაობაზე — მსგავსი სცენარი საქართველოსთვის ნაცნობია, თუმცა, სააკაშვილის გადასაყენებლად ოდესაში საპროტესტო აქციების სეზონი ამჯერად ოდესაში იხსნება.

ოდესის ორგანიზაცია „ანტიმაიდნის“ აქტივისტებმა ერთ-ერთ ქუჩაზე მოძრაობა გადაკეტეს, გამოჩნდა ბანერები, წარწერით — „სააკაშვილი go home“ და „სააკაშვილი — სამხედრო დამნაშავე“.

„ოდესას კარგად ესმის, რომ სააკაშვილს ხელები სისხლით აქვს დასვრილი. ზუსტად მან გასცა ბრძანება, ცეცხლი გაეხსნათ ე.წ. სამხრეთ ოსეთში მშვიდობიან დასახლებაში, იქ ასობით მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. მან წამოიწყო ოსეთში ომი და ახლა მოვიდა ოდესაში, რომ ბრძოლას გზა გაუხსნას დნესტრისპირეთში“, — განაცხადა საპროტესტო აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მიხეილ კოშელევმა.

მართალია, აქტივისტები აცხადებენ, რომ მათ მშვიდობიან აქციას თავს დაესხნენ შენიღბული დაუდგენელი პირები და პლაკატები ხელიდან გამოსტაცეს, მაგრამ უკრაინაში სააკაშვილისა და მისი ნაციონალების ზენიტის ხანა სრულდება. ამბობენ იმასაც, რომ პრეზიდენტ პოროშენკოსა და სააკაშვილს შორის შავმა კატამ გაირბინა. ამის დასტურია ისიც, რომ უკრაინაში სულ უფრო პოპულარული გახდა თემა, რომ უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილის — დავით საყვარელიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

— თუკი გავითვალისწინებთ, რომ რევოლუცია (ამ შემთხვევაში, უკრაინული მაიდანი) თავის შვილებს ჭამს, უნდა ველოდოთ თუ არა მოვლენათა განვითარების კულმინაციას? როგორი იქნება უკრაინაში სააკაშვილის თანამებრძოლების ხვედრი? ამ საკითხებზე **Forge** პოლიტოლოგ **ვახტანგ ძაბირაძეს** ესაუბრა.

— სააკაშვილის თავისუფალ მანერებს ოდესაში ადრე თუ გვიან აუცილებლად მოყვებოდა საპროტესტო გამოსვლები. ცუდია, როდესაც საპროტესტო აქციები იმ სოუსით მიმდინარეობს, რომ სააკაშვილმა თურმე ცეცხლი გახსნა ცხინვალში. ეს ჩვენთვისაც და სააკაშვილისთვისაც საკმაოდ ცუდი რაკურსია. ცხინვალში პროვოკაცია დაიგეგმა და, რა თქმა უნდა, სააკაშვილი ამ პროვოკაციას აყვებოდა. ახლა შეგნებულად გააკეთა ეს, თუ არ იცოდა, რაც მოხდებოდა, ეს სხვა საკითხია; მაგრამ საკუთარ ქვეყანაში სააკაშვილს რომც გაეცა ასეთი ბრძანება, ამის იურიდიული უფლება ჰქონდა. რასაკვირველია, არ მივესალმები იმას, რაც ცხინვალში 2008-ში მოხდა. ვთვლი, რომ მთლიანად რუსულმა სცენარმა იმუშავა, მაგრამ დღესდღეობით ოდესელების მიერ ამის წინა პლანზე წამოწევა, ამის აფიშირება და პროტესტის გამოხატვა არაა მისაღები.

— როგორც ჩანს, ამ საპროტესტო აქციის მონაწილეთა სურვილია, სააკაშვილის ცოდვები მხოლოდ ცხინვალის რეგიონში მომხდარ კონფლიქტთან გაიგივონ. ნუთუ აქციის მონაწილეებს არა აქვთ ინფორმაცია, რომ სააკაშვილს არაერთი სხვა დანაშაული აქვს ჩადენილი საკუთარ სამშობლოში?

— როგორც ჩანს, მათთვის ყველაზე მისაღები სწორედ ცხინვალის თემაა. ამიტომ ჩნდება კითხვის ნიშნები, ვინ არიან ეს ძალები?! თუ ოდესელებს პროტესტის გამოხატვა უნდათ, სააკაშვილმა უამრავი შეცდომა დაუშვა და შეუძლიათ, სხვა რაკურსით გამოხატონ პროტესტი. ბუნებრივია, ოდესაში სხვადასხვა ინტერესებია. არ არის აუცილებელი, ეს იყოს მოსკოვის პირდაპირი დაკვეთა, თუმცა, ამ რაკურსით კრიტიკას, ბუნებრივია, სააკაშვილიც და ნაციონალური მოძრაობის წევრებიც გამოიყენებენ. ისინი ისეთ პიარს გაიკეთებენ, რომ რუსეთი სააკაშვილს თურმე არა მარტო საქართველოში, არამედ ოდესაშიც ებრძვის. ეს სააკაშვილის წიქვილზე წყლის მიშვებაა, რადგან, რეალურად, თუ სააკაშვილს რაიმე დამსახურება აქვს და ჯერჯერობით მაინც ინარჩუნებს თავის პოლიტიკურ რეიტინგს დასავლეთში, სწორედ რუსეთთან „მებრძოლის, შეუპოვარი რაინდის“ მოტივით აიხსნება. ოდესაში გამართული საპროტესტო აქციებიც სწორედ ამის დასტური გამოდის და ეს სულაც არ არის პროტესტი თავად სააკაშვილის წინააღმდეგ.

საქართველოდან უამრავი გზავნილი გადის უკრაინაში და არა მგონია, მიხეილ სააკაშვილის შესახებ ინფორმაციის მოპოვება დღეს დიდ პრობლემას წარმოადგენდეს. უფრო მგონია, რომ საკმაოდ შეგნებულად არის ეს გაკეთებული და, სულო ცოდვილო, ისიც კი მგონია, რომ გარკვეული პროვოცირება ამ აქციას თავად ბატონმა მიხეილმაც გაუკეთა და წააშველა ხელი. ამით გამოდის, სააკაშვილი ყველგან ებრძვის რუსეთს, მას ასეთი იმიჯის შენარჩუნება ჰაერივით სჭირდება, თუკი მას უნდა პოლიტიკაში დარჩენა, და ეს რომ უნდა სააკაშვილს, ეს ჩვენ, ყველამ, კარგად ვიცით.

— ამბობენ იმასაც, რომ პრეზიდენტ პოროშენკოსა და სააკაშვილს შორის დაპირისპირება და ფარული ინტრიგებია. ისიც რეალობაა, რომ სააკაშვილი იმავე კურსს გაიმეორებს ოდესაში, რაც საქართველომ გაიარა, ანუ ოდესაშიც იქნება საჩვენებელი რეფორმები -ავტოინსპექციის გადაკეთება პატრულად, ავარიული სახლების ფასადების შეღებვა... თუკი პოროშენკო-სააკაშვილს შორის დაპირისპირება რეალურია, შეიძლება, ამის გამოვლინებად ჩაითვალოს ალექსანდრე კვიტაშვილისა და უფრო ადრე, ჯაბა ებანოიძის მიერ პოსტების დატოვება და ქართველი მაღალჩინოსნებისთვის შექმნილი პრობლემები უკრაინაში?

— ვერ გეტყვით, ასე დეტალურად არ ვიცნობ უკრაინულ სიტუაციას პოროშენკოსა და სააკაშვილის ურთიერთობის ჭრილში, მაგრამ პოროშენკოს არავინ ავალდებულებს, არ მოიშოროს სააკაშვილი, თუკი ამას გადაწყვეტს. სააკაშვილი მისთვის დღეს არ არის რაიმე რეალური ფიგურა. თუ, ვთქვათ, პოროშენკო თავს იზღვევს, რომ ხვალ და ზეგ სააკაშვილი არ იქცეს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურად უკრაინაში, არა მგონია, ამის შიში ჰქონდეს პოროშენკოს. სააკაშვილი უკრაინაში ვერ გახდება პოროშენკოს კონკურენტი ვერც ერთ სფეროში, ეს გამორიცხულია. მისი გადაყვანა ოდესაში და კიევიდან მოშორება ნიშნავს იმას, რომ უკრაინაში, როგორც ჩანს, დაიწყო ქართული სახელისუფლო ნომენკლატურის პოლიტიკური სივრციდან ნელ-ნელა გაყვანის პროცესი.

— თავიდან იყო ვერსია, რომ ამერიკას სურდა, მოეშორებინა სააკაშვილი და ეს დესანტი უკრაინისთვის ებოძებინა, მაგრამ უკუსვლის პროცესში, რაც ნაციონალთა წინააღმდეგ დაიწყო უკრაინაში, ვისი ხელი იგრძნობა? ვინ არის ამ სცენარის ავტორი — დასავლეთი, რომელმაც დიდი ღვაწლი გაიღო, რომ პოროშენკოს მრჩევლად მოვლენოდა სააკაშვილი, თუ უკრაინის შიდა წრეები?

— მე მგონი, ეს უფრო კომპლექსური მიდგომაა, რადგან გარკვეული დრო გავიდა, რაც პოროშენკო ხელისუფლებაში მოვიდა. მესმის, მცირე დროა, მაგრამ რეალურად სიტუაცია არ შეცვლილა, ქვეყანა ომის მდგომარეობაშია და, ცხადია, ჩნდება კრიტიკული დამოკიდებულება პოროშენკოსა და მისი ხელისუფლებისადმი. თავიდანვე ქართველების იქ დანიშვნას ვუყურებდი, როგორც პიარს,

◎ ინფორმაცია

ნატოს მრავალეროვნული სამხედრო სწავლება ვაზიანში ოფიციალურად გაიხსნა

მრავალეროვნული სამხედრო სწავლება Agile Spirit 20150-ის გახსნის ცერემონიაზე შესრულდა საქართველოს ჰიმნი. ასევე სამხედრო მოსამსახურეებმა წუთიერი დუმულით პატივი მიაგეს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნას.

ნატოს სამხედრო სწავლება, რომელშიც პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენელები მონაწილეობენ, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში ხორციელდება. უელსის სამიტზე მიღებული არსებითი პაკეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს სწავლებების ჩატარებაა.

სამხედრო სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების, ბულგარეთის, რუმინეთის, ლიტვისა და ლატვიის სამხედრო მოსამსახურეები ჩამოვიდნენ. საქართველოს მხრიდან წვრთნაში მეოთხე მექანიზებული ბრიგადის 42-ე ბატალიონი ჩაერთო. წვრთნებში შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითთა კორპუსი 220-მდე სამხედრო მოსამსახურით არის წარმოდგენილი. დანარჩენი ქვეყნები სწავლებაში ოცეულის დონის ქვედანაყოფებით მონაწილეობენ. მრავალეროვნული სამხედრო სწავლება Agile Spirit 2015 საშტაბო და საველე მომზადებას მოიცავს. სწავლება 22 ივლისამდე გაგრძელდება.

ქართველები კოალიციის საუკეთესო სამხედროებს შორის არიან

აშშ-ის სენატორმა ჯონ მაკკეინმა ქართველ სამხედროებს ავღანეთის მისიაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. სენატორი ავღანეთში, ბაგრამის საავიაციო ბაზაზე ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ჩავიდა. დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ცერემონიალს სენატორი „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის მეთაურ გენერალ ჯონ კემბელთან ერთად დაესწრო. აშშ-ის სენატორის უსაფრთხოებას საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზირებული ბრიგადის 43-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები უზრუნველყოფდნენ.

ჯონ მაკკეინმა ავღანეთის მისიაში საქართველოს წვლილზე და ქართველი სამხედრო მოსამსახურეების პროფესიონალიზმზე გაამახვილა ყურადღება. **„საქართველოს უდიდესი წვლილი შეაქვს ავღანეთის მისიაში. ქართველი სამხედროები პერიმეტრის გარეთ ძალიან სახიფათო და რთულ მისიას ასრულებენ. ისინი უზრუნველყოფენ ჩვენი მოკავშირეების, სამხედროების და საზღვაო ქვეითების უსაფრთხოებას. ჩვენ ძალიან მადლიერები ვართ იმ უზარმაზარი წვლილისთვის, რომელიც საქართველოს ავღანეთის მისიაში შეაქვს. მისიის მეთაურმა გენერალმა კემპბელმა მითხრა, რომ ქართველები კოალიციის საუკეთესო სამხედროებს შორის არიან. ისინი ძალიან რთულ საქმეს აკეთებენ, რაც პროფესიონალიზმის ძალიან მაღალ ხარისხს მოითხოვს - სწორედ ასეთები არიან ქართველი სამხედროები“,** — განაცხადა ჯონ მაკკეინმა.

◎ ვითარება

პროცესი დაიწყო

პოლიტიკურ სვლას, რომ გარკვეულ სიტუაციაში, ნელ-ნელა მათი მოშორებით სიტუაცია გაეკონტროლებინათ. არ ჰქონდათ დიდი იმედი იმისა, რომ, ქართველები იქ რადიკალურ რეფორმებს გაატარებდნენ და სასწაულებს მოახდენდნენ. მე მგონი, ეს პროცესი დაიწყო უკრაინაში და ქართველები, ალბათ, დატოვებენ პოსტებს, გადავლენ მეორე მხარეს. შიდა სიტუაციაც ამაზე მიუთითებს, საკმაოდ ჭრელია უკრაინული პოლიტიკური სპექტრი. იქ არ არის ცალსახა მიდგომები, განსაკუთრებით, პოროშენკოსადმი. ეს კაცი უცებ არსაიდან გამოჩნდა და პრეზიდენტი გახდა. იქ არსებულ პოლიტიკურ ელიტას, ვინც იბრძოდა მაიდანზე და მანამდეც ოპოზიციაში იყო, პოროშენკოს მიმართ მთლად კეთილგანწყობა არა აქვს და არა მგონია, სააკაშვილისადმი ჰქონდეთ ასეთი განწყობა. დასავლეთი თავს არ მოიკლავს იმისთვის, რომ სააკაშვილმა იქ პოსტები დაიკავოს, ეს არ სჭირდება, დასავლეთში ხომ მშვენივრად იციან, რა „რეფორმებიც“ გაატარა სააკაშვილმა საქართველოში.

— სააკაშვილი კმაყოფილია, რომ დავით საყვარელიძის ხელმძღვანელობით კიევის პროკურატურა შტურმით აიღეს, თუმცა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამ შტურმანის - ანუ დავით საყვარელიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პარალელურად, მიხეილ სააკაშვილმაც დაადასტურა, რომ დავით საყვარელიძის წინააღმდეგ საქმის აღძვრას თავად პოროშენკომ შეუშალა ხელი. კერძოდ, სააკაშვილის თქმით, უკრაინელ კორუმპირებულ ჩინოვნიკებს უნდოდათ, საქმე აქეთ აღეძრათ საყვარელიძის წინააღმდეგ და ჩაეფარცხათ თავიანთი დანაშაული, მაგრამ ამას წერტილი თავად პრეზიდენტმა პოროშენკომ დაუსვა. რას ნიშნავს დავით საყვარელიძის წინააღმდეგ საქმის აღძვრა და რამდენად თანმიმდევრულად ვითარდება მოვლენები უკრაინაში?

— როგორც იუწყებიან, საყვარელიძემ სწრაფი რეაგირება მოითხოვა, მას იმედი ჰქონდა, რომ 200 ათას დოლარს ქრთამის სახით ნახავდა პროკურორის კაბინეტში. თითქოს პოროშენკოს ერთ-ერთმა თანაშემწემ, უშიშროების საბჭოდან, ამის ნება მას დართო, სპეცნაზი მისცეს, კაბინეტი გაჩხრიკეს, თუმცა იქ ვერაფერი ნახეს. ანუ ინფორმაცია, რომელიც საყვარელიძეს მიაწოდეს, როგორც ჩანს, არ იყო სანდო და ეს იყო გენერალური პროკურორის ერთ-ერთი მოადგილის კაბინეტი. იქ რომ რამე აღმოეჩინათ, პროცესები სხვაგვარად წარიმართებოდა, მაგრამ, რადგან ვერაფერი ნახეს, ბუნებრივია, მძაფრი პროტესტი იქნება. ცხადია, პოროშენკოს ახლა არაფრით არ აწყობს საყვარელიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, მით უმეტეს, მისი პასუხისგებაში მიცემა. რა თქმა უნდა, პოროშენკო შეეცდება, ამ პროცესმა პოლიტიკური დატვირთვა არ მიიღოს. ესეც ერთ-ერთი ნიშანია, რომ ხვალ-ზეგ, კვიტაშვილის მსგავსად, საყვარელიძეც დატოვებს პოსტს.

— ფაქტია, რომ უკრაინაში დიდი პოპულარობით არ სარგებლობს არც სააკაშვილის რჩევები და არც ამ რჩევის შედეგები. სადამდე უნდა გაითვალისწინოს პოროშენკომ სააკაშვილის რჩევები? სადამდე ექნება სააკაშვილის შოუებს ეფექტი? მან ხომ საქართველოს მსგავსი შოუ მოაწყო პროკურორებთან, ავიაციის წარმომადგენლებთან და ისინი კორუფციაში „ამხილა“. ამ იაფფასიანი ტრიუკებით ოდესელი ხალხის გაცურება, ალბთ, შეუძლებელია.

— არა მგონია, პოროშენკო დიდად ითვალისწინებდეს სააკაშვილის რჩევებს. უბრალოდ, მას თავისუფლების გარკვეული ხარისხი მიანიჭა. რაც ცხინვალის რეგიონთან მიმართებით გაკეთდა, სააკაშვილი ამას იქ ვერ გააკეთებს, ამის მექანიზმები მას იქ არ გააჩნია, რომ პროვოკაციაზე წავიდეს. პოროშენკოსთვის ყველაზე ადვილია, თქვას, კაცს ჩავაბარეთ ოლქი და, ვნახოთ, რა მოხდება ხვალ და ზეგ. თუ ოდესაში დაიწყება პერმანენტული გამოსვლები, პოროშენკოს საშუალება ექნება, უმტკივნეულოდ მოიშოროს სააკაშვილი არა მარტო როგორც გუბერნატორი, არამედ საერთოდ, ჩამოაშოროს უკრაინულ პოლიტიკურ პროცესებს. მგონია, რომ სწორედ ამას აკეთებს პოროშენკო და დიდად საჩქარო ეს პროცესი არ არის. რაც შეეხება სააკაშვილის შოუებს, ჯერჯერობით ეს მოქმედებს, რადგან მაინც სიახლეა ოდესელებისა და უკრაინელებისთვის, როცა პირდაპირ ეთერში ვიღაცას ხსნიან, ვიღაცას აპატიმრებენ. გარკვეული დროის შემდეგ ამას ისეთივე ეფექტი ექნება, რაც ჩვენთან ჰქონდა, ანუ 2005-2006 წლიდან ჩვენი მოსახლეობა ამას ცინიკურად უყურებდა.

— სავარაუდოდ, სააკაშვილსაც ეცოდინება, რომ მავრს მოიშორებენ და იგი აღარ იქნება მოთხოვნადი, მიუხედავად თავისა, რომ თავის დროზე იგი პოროშენკოს დაეხმარა, პრეზიდენტობის კანდიდატად სწორედ ის დასახელებულიყო და არა — კლიჩკო.

— არა მგონია, მავრს რაც უნდა, ის გამოუვიდეს. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, მავრს — ანუ სააკაშვილს უნდა, მისი პოლიტიკური რენომე იყოს გაძლიერებული და წარმატებული. თუ იგრძნო, რომ საქმე ცუდად მიდის, ალბათ, თავადვე გადადგება რაღაც სხვა მიზეზის გამო; ახლა, ბუნებრივია, იმას არ იტყვის, რომ დამარცხდა და ვერ შეძლო ოდესის ოლქში რეალური რეფორმების განხორციელება.

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ აშშ სააკაშვილსა და მის გუნდს ფინანსურად დაეხმარება. კონკრეტულად, სააკაშვილის ფეისბუქის გვერდზე ნათქვამია, რომ კალიფორნიელი პოლიციელები ოდესას პოლიციის ფორმირებაში დაეხმარებიან. სააკაშვილის წონას რამდენად ამყარებს ის, რომ მის გამო შესაძლოა, ფინანსური დახმარება მიიღოს უკრაინამ და ოდესამ? ისევე როგორც, ერთ დროს სააკაშვილმა ევრომაიდნის წარმატებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო და გარკვეული აქტივობები კიდეც დააფინანსა?

— არა მგონია, კალიფორნიის პოლიციას იმდენი სახსრები ჰქონდეს, რომ დიდ თანხებზე იყოს საუბარი. აქ უფრო ლაპარაკია პოლიტიკურ მხარდაჭერაზე და სააკაშვილმა ეს ფეისბუქზე იმიტომ გამოაქვეყნა, რომ დაარწმუნოს საზოგადოება: მას შტატები ისევ მხარს უჭერს და სააკაშვილი ისევ ამერიკისა და დასავლეთისთვის ძლიერ პოლიტიკოსად და რეფორმატორად რჩება. ეს უფრო სჭირდება დღეს სააკაშვილს, ვიდრე ის ფინანსები, რასაც ისინი გამოუგზავნიან. მას იმის წარმოჩენაც სურს, თითქოს მთელი დასავლეთი იმაზე ფიქრობს, რას აკეთებს სააკაშვილი ოდესში.

მანანა ნოზაძე

◎ სავარაუდო სტატისტიკა

როგორი იქნება ევროზონა საბერძნეთის გარეშე

საბერძნეთში გამართული რეფერენდუმის შედეგად, ევროპელი ლიდერები საბერძნეთის ევროზონიდან გავარდნას არ გამორიცხავენ.

5 ივლისის რეფერენდუმის მონაწილეთა 61,3 პროცენტი წინააღმდეგია, რომ საბერძნეთმა საერთაშორისო კრედიტორების მოთხოვნები შეასრულოს, 38,7% კი ამ მოთხოვნების შესრულების მომხრეა. ბერძენ ამომრჩეველს რეფერენდუმზე უნდა გადაეწყვიტა, დაუჭერდა თუ არა მხარს ქვეყანაში მკაცრი ეკონომიკური რეფორმების გატარებას, რასაც საერთაშორისო კრედიტორები ფინანსური დახმარების ნაცვლად ითხოვდნენ.

30 ივნისს საბერძნეთმა საერთაშორისო სავალუტო ფონდს 1,6 მილიარდი ევროს ოდენობის ვალი დათქმულ დროში ვერ გადაუხადა. საერთო ჯამში, საბერძნეთის საგარეო ვალი 323 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც საბერძნეთის მშპ-ის 180%-ია.

ამერიკული გამოცემა Wall Street Journal აქვეყნებს სტატიას, სადაც იმ სავარაუდო შედეგებს უსვამს ხაზს, რაც ევროზონას საბერძნეთის დატოვების შემთხვევაში ელის.

მოსახლეობა

ევროზონის მოსახლეობა 3,2%-ით შემცირდება, მაგრამ მისი საშუალო ასაკი გაახალგაზრდავდება. ევროზონაში მოსახლეობის საშუალო ასაკი 39,6 წელია, საბერძნეთში კი 42,3.

ეკონომიკა

ევროზონის ეკონომიკა წარმოების მხოლოდ 1,8%-ს დაკარგავს, ერთ სულ მოსახლეზე მშპ კი 1,5%-ით გაიზრდება.

ვალი

თუ საბერძნეთი ევროზონას დატოვებს, მთავრობის ვალი 3,4%-ით შემცირდება, კერძო ვალი კი მხოლოდ 0,9%-ით.

თავდაცვა

ევროზონის 19 ქვეყანას შორის ერთ სულ მოსახლეზე თავდაცვის ხარჯებით საბერძნეთი მეშვიდე ადგილზეა. საბერძნეთის გარეშე 2014 წელს წლიური სამხედრო დანახარჯი ერთ ადამიანზე 0,4%-ით მაღალი იქნებოდა.

ზეითუნის ზეთი

საბერძნეთის გასვლის შემდეგ ევროზონა ზეითუნის ზეთის წარმოების 24,5%-ს დაკარგავს.

რელიგია

ევროზონაში 84%-ით ნაკლები მართლმადიდებელი ქრისტიანი იქნება.

ქორწინება

ევროზონაში ქორწინების რაოდენობა 4,1%-ით შემცირდება, განქორწინების კი 2%-ით.

სანაპირო ზოლი

ევროზონა 4,6%-ით შემცირდება და 31,3%-ით ნაკლები სანაპირო ზოლი ექნება, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ საბერძნეთის მფლობელობაში დაახლოებით 2 ათასამდე კუნძულია.

მწეველები

ევროზონაში მწეველთა რაოდენობა 4,8%-ით შემცირდება.

◎ გულის გუნდარი

ელიზბარ ჯაველიძე: ნახევარი ამერიკა „გაპედერასტებულია“, ახლა მსოფლიოს „გაპედერასტება“ უნდათ!



„სიყვარული იმარჯვებს!“ — აღნიშნული ტექსტი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. განცხადება აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ეხებოდა.

თეთრმა სახლმა საკუთარ ფეისბუქგვერდზე საგანგებო განცხადება ცისარტყელას ფერებში შეღებილი თეთრი სახლის ფოტოთი გამოაქვეყნა.

„ეს ამერიკისთვის გამარჯვებაა. ის ამტკიცებს, რომ მილიონობით ამერიკელი თანასწორია და უფრო თავისუფალი გახდა!“ — განაცხადა ამერიკის პრეზიდენტმა.

აშშ-ის ეს გადაწყვეტილება საქართველოში, სხვადასხვა წრეებში ვნებათაღელვის საგანი ხდება. ვისთვის მისაღები აღმოჩნდა, ვისთვის კიდევ, კატეგორიულად მიუღებელი.

„ბოდიში მომითხოვია ამ გამოთქმისთვის, მაგრამ აშშ-ს უნდა, რომ მთელი ქვეყანა „პედერასტების“ სამყაროდ აქციოს!“ — ამბობს ელიზბარ ჯაველიძე, რომელიც „რეპორტიორს“ ესაუბრა:

— მე, საერთოდ, ამერიკაზე მაქვს უარყოფითი აზრი. აშშ-ს თავისუფლების ქვეყნად მოიაზრებენ, მაგრამ ეს ქვეყანა რომ დემოკრატიულ ღირებულებებს სცემდეს პატივს, მიხეილ სააკაშვილს, დიქტატორს, „დემოკრატიის შუქურად“ არ შერაცხავდა.

— ამერიკის ეს გადაწყვეტილება რას ცვლის დანარჩენი მსოფლიოსთვის, საქართველოსთვის?

— ამერიკის პოლიტიკა უმეტესწილად განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკას. მას უნდა, რომ ის გავრცელდეს მსოფლიოში, რაც მას უნდა. ყველაზე დიდი ურწმუნოება, უზნეობა, ღვთის გმობა... ამ ყველაფრის გამავრცელებელია ამერიკა და დღეს, ბოდიში მომითხოვია ამ გამოთქმისთვის, მაგრამ უნდა, რომ მთელი მსოფლიო „პედერასტების“ სამყაროდ აქციოს.

ის შავი ყმაწვილი, ობამა, თავის დროზე ამბობდა, რომ მამაკაცებთან ჰქონდა ურთიერთობა. ამ ადამიანმა თავისი მოღვაწეობის ყველაზე დიდ გამარჯვებად მიიჩნია, რომ აშშ-ის ყველა შტატში დააკანონა ერთსქესიანთა ქორწინება. ეს არის დამღუპველი მსოფლიოსთვის. ეს არის წარღვნა და შეგნებულად გაკეთებული.

მორწმუნე ადამიანისთვის, ადამიანი ღვთის ხატია და ამათ უნდათ, რომ ადამიანი ცხოველზე დაბლა დაუშვან. არ ფიქრობენ, ორი კაცი ან ქალი რომაა ცოლქმარი, იქ ნორმალური ბავშვი როგორ გაიზრდება, იმიტომ, რომ ნახევარი ამერიკა „გაპედერასტებულია“ ახლა მთელი მსოფლიოს „პედერასტებად“ ქცევა უნდათ. ჩვენ თავი დაგვანებონ, მიხედონ საკუთარ თავებს. ჩვენს ოჯახებში და სულიერ სამყაროში ნუ აფათურებენ ბინძურ ხელებს. შეიძლება, სხვაგან გაუვიდეთ ეს ამბავი, მაგრამ საქართველოში არ გაუვათ.

როცა „ანტიდისკრიმინაციული კანონი“ მიიღეს, მაშინვე ვთქვი, რომ ამას მოჰყვებოდა ერთსქესიანთა ქორწინებასთან დაკავშირებული ამბები. ეს საკითხი რომ გაიტანონ პარლამენტში, იმ წამსვე შეიკრიბება ხალხი და გაყრის მათ.

— პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა — ყველაფერს გავაკეთებ, რათა კონსტიტუციაში გაკეთდეს ჩანაწერი, რომ ქორწინება, ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობაო, რასაც ა/ო „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ხელმძღვანელი ეკა გიგაური გამოეხმაურა და თქვა — ამ განცხადებით პრემიერი, ფაქტობრივად, მოქალაქეებს მოუწოდებს, არ დაიცვან უმცირესობების უფლებებიო. ეს აბსოლუტურად პოპულისტური განცხადებაა, რომლითაც ამომრჩევლის ყურადღების მიპყრობა ხდებაო...

— პრემიერმა მსგავსი განცხადება ადრეც გააკეთა და ახლაც გაიმეორა იგივე. ეკა გიგაური, ეს ცხრა ღობეზე გადამხტარი ქალი, მერაბიშვილის მიერ კაპიტნად ქცეული, როგორ უნდა ლაპარაკობდეს?! ან, ერთი გამახსენეთ, როდის უთქვამს ეკა გიგაურს ნორმალური რამ?! არ მინდა ახლა, გიგაურზე რაღაც ფაქტები მოვყვე, კარგად იცის თვითონვე, რა ცხოვრებითაც იცხოვრა.

— „საია“ აცხადებს, რომ კონსტიტუციაში ოჯახზე ჩანაწერი ვერ გაკეთდება. „როდესაც ორ ადამიანს სურს, რომ ერთად იყოს და ამას ქორწინება ერქვას, ამასთან სახელმწიფოს არაფერი ესაქმება. რა თქმა უნდა, კერძო პირებს, ეკლესიას შეიძლება ჰქონდეთ მოსაზრება, ეს მათი არჩევანია, მაგრამ სახელმწიფო და კანონი ვალდებულია, რომ უზრუნველყოს ყველა ადამიანის თანასწორობა მის წინაშე და სახელმწიფო პოლიტიკა თუ კანონმდებლობა არ შეიძლება იყოს ისეთი, რომელიც რაიმე ნიშნით, ვინმეს აფიქრებინებს, რომ ის არის მეორეხარისხოვანი ადამიანი და მოქალაქე. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციაში, რომელიც აღიარებს ადამიანთა თანასწორობას, ვერ გაკეთდება ვერანაირი ჩანაწერი, რომელიც შეზღუდავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას თანასწორობაზე და ქორწინებაზე“, — თქვა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილმა.

— ეს საია, საერთოდ, სოროსის მიერ დაფუძნებული, ფულზე გაყიდული არასამთავრობოა, რომლის პოლიტიკაც იგივეა, რაც ამერიკის პოლიტიკა. ამათ უნდათ, რომ სახელმწიფოს სისხლი გამოაცალონ და მთლიანად არასამთავრობოებმა მართონ ქვეყანა და ეს არასამთავრობოები, ჩვენ რომ გვყავს, საზიზღრობაა, წიგნი არა აქვს არც ერთს წაკითხული.

ესენი არიან პირწავარდნილი, ფულზე გაყიდული აგენტები! თუ ეს გიგაური, ლომჯარია და „საია“ ხმას არ ჩაიწყვეტენ, ხალხი სადაც დაიჭერს მათ ალვის ხეზე ჩამოკიდებს.

ის კიდევ, კოჟორიძე, ამ „საიადან“ რომ წავიდა, ვითომ დიდი მრჩეველია, რა პრეზიდენტიც ჰყავს, ისეთი მრჩეველი გვყავს. სირცხვილია! მარგველაშვილი, ახლა რომ ივანიშვილს უტევს, ვერ დამარწმუნებს, რომ თავისი წინდების ქსოვით და იმ წერილებით, რომელიც მას აქვს გამოქვეყნებული, სადაც ქართველებს ავადმყოფ ერად აცხადებს, ეს კაცი ოდესმე პრეზიდენტი გახდებოდა.

— არსებულ ვითარებაში, რა პოზიცია უნდა დაიჭიროს ხელისუფლებამ?

— ხელისუფლებამ, უწინარესად, ხალხს უნდა უსმინოს, ხალხს და იმაზე კი არ უნდა იდარდოს, რას იტყვის ევროპა ან ამერიკა. ქართველი რას იტყვის, იმაზე იდარდოს. ამერიკამ ევროპა ქვეშევრდომად გაიხადა და მთელ მსოფლიოს აუპატიურებს. მე ასეთი არც ევროპა მინდა და არც ამერიკა! ამ ხალხს არც აქვს წაკითხული საერთოდ ევროპის კულტურა და არც ის იცის, რა არის საერთოდ ამერიკა. თავის დროზე მეც ვბეჭდავდი ამერიკაზე, მაგრამ მერე მივხვდი, მეგონა სამოთხე და აღმოჩნდა ჯოჯოხეთი, რომელიც წამლავს მსოფლიოს. მათ შორის, საქართველოს.

P. S. „ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება დიდი შეცდომაა“, — ასე გამოეხმაურა საკვირაო ქადაგებისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამერიკის გადაწყვეტილებას: მიეცეთ უფლება ერთსქესიანებს, სურვილის შემთხვევაში დაქორწინდნენ.

ილია მეორე ამბობს, რომ უცხოელი სასულიერო პირებისთვისაც მიუღებელია ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე დღის წინათ ამოქმედებული კანონი. პატრიარქი თვლის, რომ ადამიანები და სახელმწიფოები ხშირად უკანონობას აკანონებენ .

ერთსქესიანთა ქორწინება ლეგალურად, აშშ-ის 36 შტატში ითვლებოდა. ქვეყნის მთავარი მოსამართლის გადაწყვეტილებით, კანონი ამერიკის ყველა შტატში ამოქმედდება. შედეგი ორი ათეული წლის კულმინაციას წარმოადგენს. კანონი ძალაში სამ კვირაში შევა.

დღეს შტატებში 390 000-მდე ერთსქესიანთა ქორწინებაა დარეგისტრირებული. თუმცა, სხვა შტატებში მცხოვრები 700 000 წყვილი ვერ ახერხებდა ოფიციალურად ქორწინებას. ამერიკის ამჟამინდელი პრეზიდენტი 2012 წლიდან მხარს უჭერდა აღნიშნული კანონის მიღებას.

დიანა ლიპარტელიანი.

◎ წინ... რეფერენდუმისკენ

რა აწუხებთ ნაცვლიშვილსა და კორძაიას?!

არსებობს გადმოცემა: ბავშვს კოკით ხელში წყაროზე რომ აგზავნიდნენ, წინასწარ სცემდნენ, რომ კოკა არ გაეტეხა. რამდენად ჰუმანურია ეს საქციელი, სხვა საკითხია, მაგრამ, ეტყობა მაშინ კარგად „მუშაობდა“!

თანამედროვე ტერმინოლოგიით ასეთ ქმედებას პრევენცია ჰქვია და მას დანაშაულის თავიდან ასაცილებლად იყენებენ ხოლმე!

დღეს თითქმის მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია ამერიკისკენ, სადაც ბარაკ ობამას საკმაოდ თამამ გადაწყვეტილებას ზეიმობენ.

რა ჩვენი საქმეა, რა მორალური კრიტერიუმებით იცხოვრებს ამერიკა და ვის ვისთან დააწყვილებს, რომ არა ჯონ კერის მუქარა-განცხადება, რომ ამერიკა ყველანაირად შეეცდება მთელი მსოფლიოში დააკანონოს ერთსქესიანთა ქორწინება!

საზოგადოებაში გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამერიკის მიერ ხელდასხმული საქართველოს ხელისუფლება თავიანთი პატრონების ზეწოლით ხომ არ მოახდენს ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ კანონპროექტის ინიციირებას, საიდანაც დაკანონებამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია?!

სხვათა შორის, „მოსამზადებელი“ სამუშაოები უკვე დაწყებულია! გრანტიჭამია ასო-ები (არასამთავრობო ორგანიზაციები), რომელთა მისია ანტიქართული, ანტიეროვნული სულისკვეთების პროპაგანდა და პრაქტიკაში დამკვიდრებაა, ღიად გამოხატავენ პოზიტიურ დამოკიდებულებას ობამას გადაწყვეტილების მიმართ და გვმოძღვრავენ, რომ ეს ნაბიჯი ხელს უწყობს სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლების უფლებათა დაცვას და მიზანშეწონილად მიიჩნევენ იგივეს გაკეთებას საქართველოში.

განსაკუთრებით აქტიურობენ საია-ს თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი და „ცნობილი უფლებადამცველი“ ეკა გიგაური. ისინი ღიად აკრიტიკებენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას, სადაც იგი კონსტიტუციაში ოჯახის, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის აღნიშვნაზე საუბრობს.

გულისამრევია მათი არგუმენტები, რომ ოჯახი ორი ადამიანის ერთობაა და მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს ერთსქესიანები იქნებიან ისინი თუ განსხვავებული სქესის წარმომადგენლები.

მათ ნაკლებად აინტერესებთ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია, რომელიც ერთი სქესის წარმომადგენელთა ქორწინებას დაუშვებლად (სასიკვდილო ცოდვად) მიიჩნევს. ლიბერალ-რუპორების თავხედობა იქამდეც მიდის, რომ ისინი ეკლესიის სამართლიან პოზიციას კერძო მოსაზრებად ასაღებენ, რომელსაც ხელისუფლებამ ანგარიში არ უნდა გაუწიოს!

იმის მიუხედავად, რომ საპარლამენტო უმრავლესობას აღნიშნულთან დაკავშირებით ოფიციალური პოზიცია არ გამოუხატავს, „რესპუბლიკელი“ თამარ კორძაია საკუთარი თანამოაზრეების პოზიციას გამოხატავს და დაუშვებლად მიიჩნევს კონსტიტუციაში ოჯახის დეფინიციის მკაცრად განსაზღვრას, რითაც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის პოზიციას აშკარად ემიჯნება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს არ არის თამარ კორძაიას, როგორც კერძო პირის განცხადება, იგი ამ ინიციატივით ზოგადად ხელისუფლებაში მყოფი ლიბერალების პოზიციას ახმოვანებს, რითაც ხდება საზოგადოების განწყობის მოსინჯვა — იმის გარკვევა, თუ როგორია ხალხის რეაქცია და რამდენად არის მათში მზაობა, ბოლომდე დაიცვას ოჯახის, როგორც განსაკუთრებული ქართული ფენომენის ტრადიცია, რომელიც მართლმადიდებლური გაგებით, ქალისა და მამაკაცის ერთობაა.

ოფიციოზს რომ თავი დავანებოთ, ჯერჯერობით პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული პოლიტიკურ პარტიებსაც, რომლებსაც ხალხი და ეროვნული ინტერესები მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდებათ.

დღეს ნამდვილად არ გამოგვადგება ანდაზა: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზაც მერე გამოჩნდებაო“.

ურმის გადაბრუნებას ამჯერად ვერ დაველოდებით, რადგან, საქმე ერის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს ეხება. არც ორთქლის გამოშვება და ლგბტ-ს მიმდევართა თუ მათ მხარდამჭერთა შეჩვენება უშველის საქმეს. საჭიროა, ვაიძულოთ ხელისუფლება, ჩაატაროს რეფერენდუმი თემაზე: **„უჭერთ თუ არა მხარს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას საქართველოში და უნდა ეწეროს თუ არა საქართველოს კონსტიტუციაში, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა?“**

იგი უნდა ჩატარდეს საზოგადოების მკაცრი კონტროლით.

რეფერენდუმი საბოლოოდ დაუსვამს წერტილს საზოგადოებაში არსებულ ეჭვებს, რომ ამ „ხელისუფლებისგან ყველაფერია მოსალოდნელი“. ხოლო, თუ ხელისუფლება ხალხის ხმას არ შეისმენს, მაშინ იქ უნდა მივაბრძანოთ, სადაც ჯერ არს!

წინ... რეფერენდუმისკენ!!!

საბა საბახტარაშვილი

თუ არ იქნა ერთიანი ეკონომიკური განვითარების მოდელი, ღარიბი ქვეყნები ევროკავშირს ჩამოშორდებიან

გვესაუბრება დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის ექსპერტი ალექსანდრე თვალჭრელიძე

— ბატონო ალექსანდრე, საბერძნეთში 5 ივლისს გამართული რეფერენდუმის შედეგებით საბერძნეთმა არ მიიღო კრედიტორი ქვეყნების წინადადებები და უარი თქვა, მკაცრ ეკონომიკაზე გადავიდეს. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ რეფერენდუმის შედეგებს და რამდენად დიდია ალბათობა, რომ საბერძნეთის შემთხვევა ევროპულ ერთიანობას შეარყევს?

— უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ, ჩემი აზრით, ევროკავშირმა საბერძნეთთან (ასევე ესპანეთსა და პორტუგალიასთან) მიმართებაში ტრაგიკული სტრუქტურული შეცდომა დაუშვა — მან მოითხოვა მთავრობისა და სოციალური ხარჯების შემცირება საბერძნეთის ეკონომიკის ყოველგვარი სტრუქტურული რეფორმირების გარეშე. სხვა სიტყვებით, ევროკავშირის ექსპერტები მხოლოდ ზოგად მაკროეკონომიკურ პარამეტრებს აქცევდნენ ყურადღებას და არავითარ რეკომენდაციებს არ აძლევდნენ მთავრობას ეკონომიკის გაჯანსაღების კუთხით. ამიტომ, რეფერენდუმის შედეგების წინასწარმეტყველება ძნელი არ იყო - მოსახლეობამ ძალიან მძიმედ გადაიტანა „მოჭერილი ქამრების“ პოლიტიკა, განვითარების პერსპექტივას კი ვერ ხედავდა, დე ფოლტის საფრთხე საბერძნეთში ხომ 2010 წლის გაზაფხულზე გაჩნდა. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, ევროპული ერთიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელია გაცილებით უფრო ღრმა, სტრუქტურული რეფორმის შემოთავაზება, უპირველეს ყოვლისა, საბერძნეთისთვის, მაგრამ, აგრეთვე, ესპანეთსა და პორტუგალიისთვის. ევროპაში უნდა არსებობდეს ერთიანი ეკონომიკური განვითარების ჩარჩო მოდელი, სხვანაირად შედარებით ღარიბი ქვეყნები ნელ-ნელა ევროკავშირს ჩამოშორდებიან.

— საფრანგეთის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელმა კრისტიან ნოიერმა განაცხადა, რომ „ევროპის ცენტრალური ბანკის მიმართ საბერძნეთის ვალის რესტრუქტურიზება შეუძლებელია, ამგვარი რამ ევროზონის სადამფუძნებლო შეთანხმებები არ ითვალისწინებს. „ბერძნული ვალი ევროზონის წინაშე არსებული ვალია და თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მისი შეცვლა შეუძლებელია“.

— საფრანგეთის ჩინოვნიკები, როგორც ყოველთვის, ძალიან ხისტ, ვიტყოდი, შეუსაბამოდ ხისტ და ეგოცენტრულ განცხადებებს აკეთებენ. ვალის დავიწყება და ჩამოწერა არ შეიძლება, თორემ რესტრუქტურიზება სავსებით შესაძლებელია. მეტიც, ვიტყოდი, რომ ეს შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალია, რა თქმა უნდა, თუ ევროკავშირის ჩინოვნიკები სწორ დასკვნებს გამოიტანენ და საბერძნეთის მოსახლეობას უკეთეს მომავალს დაანახვებენ ეკონომიკის გაჯანსაღების პრაგმატული პროექტის შემოთავაზების გზით. თუმცა, ამის ძალიან მცირე იმედი მაქვს.

— იმის მიუხედავად, რომ საბერძნეთის ევროზონიდან გამოსვლა არ იგეგმება, საბერძნეთს არ აქვს დრაჰმების დაბეჭდვის შესაძლებლობა, ამ თემაზე საქართველოსა და რუსეთში საკმაოდ ბევრს საუბრობენ. საბერძნეთში ამ მოვლენებზე საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის რეაქცია აშკარად გაუგებარია. გაუგებარია, რატომ უხარია ჩვენი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ევროპის წინააღმდეგ საბერძნეთის ბუნტი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ოფიციალურ ათენს კრედიტორი ქვეყნებისაგან 316 მილიარდი ვალი აქვს აღებული და ახლა ისინი ვალის დაბრუნებას ითხოვენ. საბერძნეთის კრიზისმა აჩვენა, რომ ჩვენში ანტიგლობალისტების, აშკარად მემარცხენეთა და რუსეთის გულშემატკივართა რაოდენობა (რუსეთი ევროპულ ქვეყნებს შორის ერდადერთია, რომელსაც საბერძნეთის პოზიცია ახარებს), იმაზე მეტია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. ჩვენში რეალურად არსებულ ასეთ სურათს როგორ ახსნიდით და რას შეიძლება იგი უკავშირდებოდეს?

— დავიწყოთ იმით, რომ „ანტიგლობალისტები“, „მემარცხენეები“ და რუსეთის „პარტიზანები“ არა ერთი, არამედ სამი დამოუკიდებელი ჯგუფია, რომელიც ხშირად ირევა და იხლართება ერთმანეთში. ანტიგლობალისტები, ძირითადად, ეკოლოგიურ არასამთავროებში ერთიანდებიან და, როგორც წესი, WWF ფონდებით საზრდოობენ. მემარცხენეები „უდარდელ“ სოციალიზმს მისტირიან. რუსეთის მოყვარულებს კი უნდათ იმპერიის აღდგენა, მაგრამ საბჭოთა წყობილების გარეშე. მსოფლმხედველურად ამ სამ ჯგუფს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ, გარდა ოპოზიციონერობისა. საბერძნეთის პრობლემა კი მათ, როგორც მეჩვენება, მარტივი მიზეზებით ახარებთ — „ხომ მოგწონთ ევროპა, ნახეთ, რა მოგივათ!“.

— ეკონომიკის დარგში 2007 წელს ნობელის პრემიის ლაურიატი ჯოზეფ სტიგლიცი, ბრიტანული „გარდიანისათვის“ მიცემულ ინტერვიუში „რატომაა ევროპა დამნაშავე ბერძნულ კრიზისში“, აცხადებს — „იმ 5 წლის განმავლობაში, რომლის დროსაც საბერძნეთი ასრულებდა კრედიტორების ე.წ. „სამეულის“ მიერ მიცემულ რეკომენდაციებს, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 1/4-ით შემცირდა. არც ერთი ეკონომიკური დეპრესია არ ყოფილა ასეთი ხელშესახები“. მისივე განმარტებით, რაც საბერძნეთში ხდება, არა ეკონომიკას, არამედ პოლიტიკას უკავშირდება. „ევროპაში ბევრს არ მოსწონს საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ ალექსის ციპრისის მემარცხენეობა და მისი გადაყენება უნდათ, მიუხედავად იმისა, რომ იგი დემოკრატიულად არის არჩეული“, — დასძენს ჯოზეფ სტიგლიცი. რჩება შთაბეჭდილება, საბერძნეთში მომხდარის შემდეგ ევროპაში მემარცხენეობა-მემარჯვენეობას შორის დაპირისპირება ახალ ფაზაში შევა. კრემლი აღარც მალავს, რომ ევროპელი მემარცხენეების გააქტიურება ევროპის პოლიტიკურ წრეებში მის გააქტიურებას უკავშირდება. თქვენი აზრით, საბერძნეთის შემთხვევა როგორ აისახება ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და, სავარაუდოდ, საქართველოს მიმართ ევროკავშირის პოლიტიკაზე?

— დავიწყოთ იმით, რომ ჯოზეფ სტიგლიცმა ნობელის პრემია 2007 წელს მიიღო და არა ეკონომიკაში, არამედ „კლიმატის ცვლილებებში“ (ე.წ. Climate Change პროექტში). მისი მეგობარი და პრემიის თანამოზიარეა საბერძნეთის ერთადერთი ნობელის პრემიის ლაურეატი ქრისტოს ზერეფოსი. ორივენი ალ გორის ჯგუფში შედიან. ამრიგად, ჯოზეფ სტიგლიცი კარგად იცნობს საბერძნეთს და მისი აზრი სავსებით სწორია — სხვა სიტყვებით, იგივე არ გითხარით თქვენს პირველ კითხვაზე პასუხის გაცემისას? დასკვნები სერიოზული და დაფიქრებული უნდა გავაკეთოთ. მაგალითად, ძალიან მაშფოთებს როგორც წინა, ასევე ამჟამინდელი ადმინისტრაციების მიერ ტურიზმის გაფეტიშება. საბერძნეთიც, დე ფოლტის ზღვარზე მისული ესპანეთიც და პორტუგალიაც ხომ ტრადიციული ტურიზმის ქვეყნებია და იქ არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის დონეს ჩვენ ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ თუ მივაღწევთ.

— საქართველოს ფინასთა ექსმინისტრ დავით იაკობიძის აზრით, დიდია ალბათობა, რომ მომხდარის შემდეგ საბერძნეთის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის აღმავლობა დაიწყება, მაგრამ მანამდე საბერძნეთი ხანგრძლივ და მკაცრ კრიზისში აღმოჩნდება. მისივე თქმით, ყველაფერი დამოკიდებულია, როგორ ნაბიჯებს გადადგამენ პარტნიორები და რა საპასუხო ტაქტიკას აირჩევენ ბერძნები. რამდენად დიდია ალბათობა, მოვლენები ამგვარი სცენარით განვითარდება?

— მოვლენები სწორედ ამ სცენარით განვითარდება, ვინაიდან ეს ერთადერთი ალტერნატივაა. მაგრამ ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ერთობლივი ძალისხმევით საბერძნეთის კრიზისიდან გამოსვლისა და ეკონომიკური განვითარების როგორი პროგრამა შემუშავდება. შეიძლება მიამიტობაა, მაგრამ მე ასეთი მოდელი კარგად მაქვს წარმოდგენილი.მასზე სხვა დროს შეგვიძლია ვისაუბროთ.

— პუტინის პრესსამსახურის უფროსის, პესკოვის განცხადებით, კრემლი ყურადღებით ადევნებს თვალს ერთმორწმუნე საბერძნეთში მიმდინარე პროცესებს. უკვე ცნობილი გახდა, რომ პუტინ-ციპრასის შეხვედრა მალე გაიმართება და მხარეები ამ შეხვედრისთვის უკვე ემზადებიან. გასაგებია, რომ რუსეთს ახლა ფინანსურად და ეკონომიკურად თავად უჭირს, მაგრამ როცა საკითხი გეოპოლიტიკას ეხება, ცხადია, კრემლი საერთაშორისო არენაზე თავისი პოზიციების გაძლიერებისათვის რესუსებს არ დაინანებს. რამდენად დიდია ალბათობა, რომ საბერძნეთი ეკონომიკურად უფრო მეტად დაუახლოვდეს რუსეთს იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორებმა მისი მოთხოვნები არ გაითვალისწინეს და რეალურად ამ პროცესმა ეკონომიკური თვალსაზრისით რა ფორმები შეიძლება შეიძინოს?

— თუკი მოხდება ასეთი დაახლოვება, ის მდგრადი არ იქნება, ვინაიდან ბერძნები უმალ დაკარგავენ რუსეთისადმი ნდობას. საქმე ის არის, რომ რუსეთს პრინციპულად არა აქვს იმის რესურსი, რომ საბერძნეთს დაეხმაროს იმ მოცულობით, რომელიც ოდნავ მაინც გააუმჯობესებს საშუალო ბერძენის ცხოვრებას. ერთობლივი პროექტები, მაგალითად, მილსადენების აშენება საბერძნეთის მოსახლეობის კეთილდღეობაზე გავლენას ვერ მოახდენს. ნახეთ, რა ხდება ყირიმში, როგორ დაეცა იქ ცხოვრების დონე, რუსები კი ამ ტერიტორიას თავიანთი ქვეყნის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ.

— დიდია იმის ალბათობა, რომ საბერძნეთში მცხოვრები ემიგრანტები სამუშაოს დაკარგავენ და იძულებული იქნებიან, საქართველოში დაბრუნდნენ. ეკონომიკური თვალსაზრისით სავარაუდოდ, როგორ აისახება ერთი მხრივ საბერძნეთიდან ფულადი გზავნილების საერთოდ შეწყვეტა-შემცირება და მეორე მხრივ, საკმაოდ დიდი რაოდენობით ემიგრანტთა სამშობლოში დაბრუნება?

— ნუ შეგვეშინდება რუხი მგლისა, რომელიც ტყიდან ჯერაც არ გამოსულა. არ მგონია, რომ ძალიან ბევრმა ქართველმა სამუშაო დაკარგოს, ისინი ხომ კერძო სექტორში არიან დასაქმებულნი და, როგორი პარადოქსულიც არ უნდა მოგეჩვენოთ, ამჟამინდელი კრიზისი კერძო სექტორს თითქმის არ შეხებია.

— თქვენი აზრით, ჩვენთვის როგორ გამოიყურება „ბერძნული გაკვეთილების“ არსი? ანუ, რა არ უნდა გააკეთოს ქვეყანამ, რომ ისეთ დღეში არ აღმოჩნდეს, როგორშიც ახლა რეალურად საბერძნეთში აღმოჩნდა?

— ჩვენ ყურადღებით უნდა ვუსმინოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროკომისიების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, მაგრამ მათი აზრი არ უნდა გავაფეტიშოთ. ისინიც ადამიანები არიან და ძალიან ხშირად ტრაგიკულ შეცდომებს უშვებენ. შედეგებს კი, მათ მაგივრად ჩვენ მოვიმკით.

ᲙᲝᲑᲐ ᲒᲔᲜᲓᲔᲚᲘᲐᲜᲘ

◎ ᲙᲐᲙᲐᲚ ᲒᲣᲚᲨᲘ

ᲬᲘᲩᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

● ეს ის ქვეყანაა სადაც „ხალხი“ „ნანუკას შოუს“ უყურებს! ᲰᲝᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲠᲐ, ᲓᲔᲓᲘᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲘᲜᲓᲐᲗ?

● ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲒᲐᲒᲝᲜᲘᲚᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲖᲝᲜᲐ ᲠᲐᲚᲐᲐ, — ᲥᲣᲠᲓᲣᲚᲘᲐ ᲠᲐᲛᲔ?

● ᲐᲠ ᲐᲘᲚᲝᲗ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲝ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ — ᲠᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲛᲘᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲭᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲒᲝᲜᲔᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲘᲫᲣᲚᲝᲜ, ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲘᲛᲣᲨᲐᲝᲜ, ᲛᲘᲗ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲣᲐᲠᲡ ᲣᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝ ᲠᲐᲛᲔᲔᲑᲖᲔ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲣᲚᲔᲚᲘ ᲘᲧᲘᲓᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲝᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲐᲐᲜᲐᲮᲕᲔᲑᲔᲡ. ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ, ᲕᲐᲚᲘ ᲙᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ.

● ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲒᲐᲜ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ? ᲚᲣᲓᲘᲡ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐᲐ — ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘ, ᲠᲫᲘᲡ — ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘ, ᲠᲐᲪ ᲙᲚᲘᲠᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲒ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘ...

ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ ᲛᲔᲨᲘᲜᲘᲐ, ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲐᲚᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲘᲥᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲛᲨᲕᲓᲜᲔᲜ...

● ᲔᲰᲔ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐ! ᲝᲠᲚᲝᲑᲔᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲮᲣᲠᲝ ᲒᲐᲘᲕᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲫᲚᲔᲕᲗ, ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘᲐ ᲔᲒ? ᲘᲮᲛᲐᲠᲔᲗ ᲣᲙᲕᲔ ᲣᲠᲑᲐᲜᲣᲚᲐᲓ ᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲑᲚᲘᲜᲘ! ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲮᲔ ᲙᲘ ᲐᲠᲐ ᲠᲐᲪ ᲘᲧᲝ ᲘᲡᲘᲪ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲗ!

ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲗ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲐ ᲓᲐᲐᲜᲒᲠᲘᲔᲗ! ᲨᲔᲣᲛᲝᲬᲛᲔᲗ ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲪᲘᲐ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲜᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲡ, ᲓᲐ ᲛᲝᲠᲩᲘᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲤᲮᲐᲜᲐᲡ!

● ᲜᲐᲠᲛᲐᲜᲘᲐᲡ ᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲗᲐ ᲐᲥᲕᲡ?

● ეს ჩვენი საქართველო წილხვედრი იმიტომ არის, წილებში ჩაჯდომა რომ უყვართ ოდითგან ქართველებს!!!

● ახლა მთავარია, ნაცები უკრაინიდან არ გამოყარონ. ძლივს მოვაწყვე. რომ აგინებთ უპრაგონოდ, ვითომ უკრაინელებისათვის კარგი გინდათ, ჩვენზე არ ფიქრობთ?! ნეტა ისინიც დამანიშნინა მინისტრებად უკრაინაში, ვინც აქ გვყავს ბალასტად!!!

● ასანთი რომ დავამზადო სათბურში — სასოფლო სამეურნეო კრედიტი უნდა ავიღო, თუ აწარმოე საქართველოში?

● ბერძნებმა შეუთვალეს ევროპას, თუ გინდა კრედიტები დაგიბრუნო, ერთი ქოთანი ლობიო, ერთი მრგვლად მოხარშული ვარია, ერთი ხელადა ღვინო და ჭადი გამოგვიგზავნე, პრასი არ გინდა გვაქვსო, ჩვენზე მაგარი შერეკილები გამოდგნენ.

● კაცმა აოტნაო, ქართულად თქვა და მოგუდულად იცინოდა მთელი ფეისბუქლიბერასტობა...

თქვი შე კაცო მიბ-GameOver-აო და გაიგებს ყველა...

ᲐᲛᲝᲙᲠᲘᲑᲐ
ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

◎ ისტორიის სიღრმიდან

როცა სასურველს რეალობად იღებენ

არათუ უშედეგო, სამარცხვინო თავგანწირვაც!

გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე (დღევანდელი მანქანების სამრეცხაო, ბენზინგასამართი სადგურის უკან) დიდი ჯვარი იდგა, რომელიც 1846 წელს აღიმართა. 1837 წელს აქ ამ ადგილას ეტლი გადატრიალდა, ხელმწიფე-იმპერატორი სიკვდილს გადაურჩა. ამ ფაქტის აღსანიშნავად, ქართველებმა მოგვიანებით ჯვარი დადგეს, რომელსაც თბილისელები „ვერის ჯვარს“ უწოდებდნენ. მოედნის რეკონსტრუქციის პერიოდში ჯვარი ლავრენტი ბერიას ბრძანებით აიღეს.

იმპერატორი ნიკოლოზ I

ახლა არ იკითხავთ ვისი სიცოცხლის გადარჩენისთვის ვუხდიდით უფალს მადლობას?

1837 წლის ოქტომბერში თბილისში სტუმრად ჩამოსულ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველისთვის, რომელსაც თანამედროვენი „პალკინსაც“ უწოდებდნენ მისი შეზღუდული განათლებისა და ჯოხის პოლიტიკის გამო. 1825 წელს, როდესაც ტაგანროგში მოულოდნელად გარდაიცვალა უმემკვიდრეოდ დარჩენილი, რუსეთის იმჟამინდელი საჭეთმპყრობელი ალექსანდრე პირველი, მომდევნო ძმამ კონსტანტინემ კარს მომდგარი რევოლუციის შიშით უარი თქვა ტახტის დაკავებაზე, ამ მისიის შესრულება ბოლოს წილად ხვდა ძმებში ყველაზე უმცროსს, ნიკოლოზს. მან ტახტზე ასვლისთანავე სისხლში ჩაახშო დეკაბრისტების აჯანყება და ქვეყნის მართვა რკინის ხელით დაიწყო.

ცნობილი რუსი ისტორიკოსი ევგენი ტარლე, თავის ერთ-ერთ წიგნში ყვება მოსკოვის უნივერსიტეტში ნიკოლოზ I-ის სტუმრობის შესახებ. როცა რექტორმა მას საუკეთესო სტუდენტები წარუდგინა, მათთან მოკლე საუბრის შემდეგ იმპერატორმა თქვა: „მე არ მჭირდება ჭკვიანები, მე მჭირდება დამჯერენი.“

ეს ის ნიკოლოზია, რომელსაც უნდოდა დამჯერედ ექცია პუშკინი, ასეთი მოპყრობის შედეგად პუშკინი დაიღუპა.

ყველა სიკეთესთან ერთად ნიკოლოზ პირველს გაუგონარი ციინიზმიც ახასიათებდა. რუსეთის იმპერატორი ამგვარად აწერდა სასიკვდილო ბრძანებებს ხელს: **„იმსახურებს სიკვდილით დასჯას, მაგრამ მადლობა ღმერთს, სიკვდილით დასჯა ჩვენში არ არის. გაატარეთ 12-ჯერ 1000 კაცის რიგში!“** ე.ი. ორ რიგად დაწყობილ 1000 ჯარისკაცს დასჯილისათვის 12-12-ჯერ უნდა დაერტყათ შპიცრუტენი (სპეციალური წკეპლა).

ძნელი წარმოსადგენია ამ ჯოჯოხეთს თუ გადაურჩებოდა ვინმე.

მის ციინიზმზე ლაპარაკობს კიდევ ერთი ფაქტი:

1825 წლის 14 დეკემბერს პეტერბურგში, სენატის მოედანზე მოხდა დეკაბრისტების ცნობილი გამოსვლა. მეორე დღეს, რუსეთის დედოფალმა დღიურში ჩაწერა: „ოჰ უფალო! მარტო იმან, რომ ჩემი უძვირფასესი სიცოცხლე საფრთხეში იყო, საკმარისია ჭკუიდან შეშალოს ადამიანი. ღმერთო დიდებულო, რა საშინელი დღე იყო გუშინ?..“

მომდევნო წლის ივლისის 13-ში, პეტრე-პავლეს საპყრობილის ეზოში ჩამოახრჩვეს დეკაბრისტთა ხუთი ბელადი: პ. პესტელი, ს. მურავიოვ-აპოსტოლი, კ. რილეევი, პ. კახოვსკი და მიხეილ ბესტუჟევ-რიუმინი. უკანასკნელ წუთს რილეევმა მღვდლის ხელი მიიდო გულზე და უთხრა: „გესმით, როგორ მშვიდად მიცემს გული?..“

როცა ჯალათმა ყულფჩამოცმულ გმირებს სკამები გამოაცალა ფეხქვეშ, მურავიოვს, რილეევსა და კახოვსკის თოკები გაუწყდათ და სახრჩობელის ქვემოთ გათხრილ ორმოში ჩაცვივდნენ. მურავიოვმა შესძახა:

— უბედურო სამშობლოვ, ადამიანის ჩამოხრჩობის უნარიც კი არ შეგწევს.

სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შემდეგ ნიკოლოზ I-მა სასწრაფო ბარათით აცნობა დედამისს: „ნაჩქარევად გწერ ორ სიტყვას ძვირფასო დედილო. მინდა გაცნობო, რომ ყველაფერი წყნარად და წესიერად ჩატარდა. საძაგლებს საძაგლად ეჭირათ თავი“.

1837 წლის ოქტომბერში, აი ასეთი „ძვირფასი“ სტუმარი გვეწვია ქართველებს თბილისში. მისი ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს, როგორც რუსეთის ერთ-ერთი გუბერნიის მონახულება და დათვალიერება. ჩამოსვლის მეოთხე დღეს იმდროინდელმა ქართველმა თავადაზნაურობამ ნიკოლოზს გრანდიოზული აღლუმი მოუწყო მადათოვის კუნძულზე. იგი მდებარეობდა დაახლოებით იქ, სადაც ამჟამად დედა ენის ძეგლი და ჩოგბურთის კორტებია. ახლანდელი მშრალი ხიდის ტერიტორიაზე მდინარე მტკვარი ძველად ორ განშტოებას ქმნიდა. სწორედ მათ შორის მდებარეობდა კუნძული, რომელიც 1751 წელს მეფე თეიმურაზ მეორემ თავად ორბელიანს უწყალობა. მე-19 საუკუნეში „ორბელიანების კუნძული“ გენერალმა მადათოვმა შეისყიდა. ამ ადგილს ამიტომ ეწოდებოდა მისი სახელი. მოგვიანებით, როცა მტკვარი ბეტონის კალაპოტში მოაქციეს, ეს კუნძული თბილისელთა დასასვენებელ ადგილად იქცა..

მადათოვის კუნძულზე მოწყობილი აღლუმის შემდეგ ნიკოლოზ პირველს წვეულება გაუმართეს, სადაც თავმოყრილი იყო ქართველი არისტოკრატიული საზოგადოების უმაღლესი წარმომადგენლობა. მათ შორის მანდილოსნები, რომლებიც თავიანთი სილამაზით ბრწყინავდნენ. ამ მანდილოსნებში ერია მაიკო ორბელიანიც, ქალი, რომლის სილამაზეზე პოეტები ლექსებს წერდნენ, ხოლო მხატვრები შედევრებს ქმნიდნენ. ამ წვეულებაზე დიდად ნასიამოვნებ და გამხიარულებულ იმპერატორს, იმხანად ძალზე მოდური „პოლონეზიც“ კი უცეკვია ჯერ სილამაზით განთქმულ მართა სოლოღაშვილთან, ხოლო შემდგომ, იმდროინდელი ქალაქის მოურავის — სარაჯიშვილის მეუღლესთან. ლხინიდან ნიკოლოზ პირველი გაიცილეს და მოსასვენებლად წაიყვანეს.

იმპერატორს ის ღამე მისთვის საგანგებოდ მოწყობილ კოჯრის ციხეში გაუთევია. სწორედ ამ ციხეში, დიდად ნასიამოვნებ იმპერატორს, ქართველმა თავადებმა ქალწული მარიამ (მაიკო) ქაიხოსროს ასული ორბელიანი მიჰგვარეს.

ვიკითხოთ მაინც, ვინ იყო ამ სამარცხვინო საქმის ინიციატორი. ვის ეკუთვნოდა ეს იდეა ნიკოლოზ პირველის მოსასვენებელში მაიკო ორბელიანის მიგვრისა?

ისტორიკოს გ. საითიძის ვარაუდით, მისი ადრესატი, ცნობილი პიროვნება — ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონია (1809-1895). „დაუნდობელი და მედროვე კაცი. მას დამთავრებული ჰქონია პეტერბურგის პაჟთა კორპუსი, ანუ ის სასწავლებელი, სადაც სამეფო სახლის შვილებიც სწავლობდნენ. ეს იყო უმაღლესი რანგის წარმომადგენელთათვის განკუთვნილი სასწავლებელი. იგი პირადად იცნობდა ნიკოლოზ პირველს, რომელიც მას თურმე „ჩემს ცელქს“ („მოი შალუნს“) ეძახდა.“

— მაგრამ რატომ იქცა იმპერატორის მსხვერპლად მაინცდამაინც მაიკო ორბელიანი? იმიტომ, რომ იმ კონკრეტულ მომენტში, როგორც ობოლი, დაუცველი აღმოჩნდა. იგი გახლდათ ცნობილი საგვარეულოს, იმ დროისთვის კი გაღარიბებული, თავად ქაიხოსრო ორბელიანის ასული. იმ ქართველი თავადებიდან კი, რომელთაც ამ დაბნეულ ახალგაზრდა ქალს ასეთი საბედისწერო ნაბიჯი გადაადგმევინეს, მათი უმრავლესობა კარგად იცნობდა და ნათესავადაც ერგებოდა ქაიხოსრო ორბელიანს — მაიკოს მამას. სანამ იგი ცოცხალი იყო, ერთადაც ხშირად რომ ქეიფობდნენ და ერთმანეთს ძმობა-ერთგულებასაც ეფიცებოდნენ. სწორედ ამ საახლობლო წრემ გადაწყვიტა, მაიკო ორბელიანი მიეგვარათ საძინებელ ოთახში იმპერატორისათვის. თავად კი, ცხადია მეჯლისის შემდეგ ნადიმსაც გამართავდნენ იმპერატორის კმაყოფილებით კმაყოფილები.

მაიკო ორბელიანი

თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ იმ დღეს „პალკინის“ ყურადღება მხოლოდ მაიკო ორბელიანზე არ შეჩერებულა, წვეულებაზე არაერთი ულამაზესი წარჩინებულ ქართველი ქალი გამოირჩეოდა. ამ წვეულების ერთ-ერთი მონაწილე გენერალ-მაიორი სტიშინსკი, თავისი ქართველი მეგობრის, ჭილაევისადმი (ჭილაშვილი) გაგზავნილ წერილში მიუთითებს: **„ნიკოლოზ პირველის პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე განსაკუთრებით ბრწყინავდა სამი ქალი: გრაფ სიმონოვიჩის ასული, უკვე დაქვრივებული ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა და მაიკო ორბელიანი, რომელიც „ძალიან საინტერესოდ და მადის აღმძვრელად გამოიყურებოდა, როგორც წვნიანი და ტკბილი ფორთოხალი“.**

ამ დროისთვის მაიკო სავარაუდოდ 20-21 წლის უნდა ყოფილიყო. ვამბობთ, სავარაუდოდ, რადგან მისი დაბადების თარიღი დღემდე სადავოა. ზოგიერთნი მის დაბადების თარიღად 1817 წელს მიიჩნევენ, ზოგიერთნი კი — 1818 წელს.

გიორგი მჭედლიშვილი

(დასასრული იქნება)

დედამიწის ზურგზე

„იუნისეფი“: ძლიერი გვალვა საფრთხის ქვეშ აყენებს ბავშვების სიცოცხლეს ჩრდილოეთ კორეაში

საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში დააფიქსირეს დიარეის მკვეთრი გაზრდის შემთხვევები იმ ბავშვებს შორის, რომლებიც დაზარალდნენ გვალვის გამო, რაიონებში, სადაც შეზღუდულია სასმელ წყალთან მისვლა, არ იცავენ სანიტარიულ ნორმებს. ბავშვების მოწყვლადობას დაავადებებისადმი რომლებიც თან ახლავს უხარისხო წყალს, ზრდის ის, რომ ბავშვების ორგანიზმი დასუსტებულია შიმშილის გამო.

„ნასა“ აღგენს პლუტონის რუკას ზონდ „ნიუ ჰორიზონსის“ სურათების მიხედვით

აპარატი აღდგა დაზიანების შემდეგ და აგრძელებს მუშაობას. ზონდის მიერ გადმოცემულ გამოსახულებებში მოსჩანს სხვადასხვა ფორმის ნათელი და ფერადი უბნები. ამავე დროს ყველაზე ბნელი ფორმები თავს იყრიან ეკვადორის გარშემო, ერთ-ერთმა მათგანმა რომელსაც გაგრძელებული ფორმა აქვს, მიიღო არაფორმალური სახელწოდება „ვეშაპი“ და მისი სიგრძე დაახლოებით 3 ათასი კილომეტრია.

ტუნისმა ტერორისტული აქტების შემდეგ გაძლიერებულ, შემოიზღუდოს ლიბიისაგან მრავალკილომეტრიანი კედლით

მშენებარე კონსტრუქციებმა ხელი უნდა შეუშალოს ქვეყანაში ტერორისტების შეღწევას „ისლამის სახელმწიფოს“ დაჯგუფებიდან. კედლის სიგრძე 168 კილომეტრს შეადგენს, მისი მშენებლობა 2015 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს.

ჰილარი კლინტონმა ბრალი დასდო რუსეთს ჰაკერების მხარდაჭერაში, რომლებიც ამსხვრევენ ამერიკულ კომპანიებს

„საკითხი შეეხება არა მხოლოდ ჩინელებს, — თქვა მან. — ჩვენ ვიცით, რომ სხვა მთავრობებიც — რუსეთი, ჩრდილოეთი კორეა, ირანი — პირდაპირ ან ირიბად აფინანსებდნენ ჰაკერებს“. კლინტონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეისათვის მიღებული ზომები საკმარისი არაა.

ანკარის ქუჩებში გაჩნდა პლაკატები მოწოდებით - გაუსწორდნენ ჰომოსექსუალისტებს

პირველად უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში ანკარაში ჯერ გაუსწორდნენ „სიამაყის აღლუმის“ მონაწილეებს, ახლა მოძრაობამ „ისლამის თავდაცვის ახალგაზრდა“ გავრცელა პლაკატები, რომლებიც შეგვახსენებენ სოდომის მცხოვრებთა ბედს და ისლამის მიერ დაწესებულ სასჯელს ზნეობის წინააღმდეგ დანაშაულებისთვის. მოწოდებები ძალადობისაკენ გავრცელდა სოციალურ ქსელებშიც.

ამერიკის შეერთებული შტატების არმიიდან 450 ათას სამხედრო მოსამსახურეს გაათავისუფლებენ

2017 წლის ბოლოსთვის ამერიკის შეერთებული შტატების საშტატო შემადგენლობა 450 ათასამდე სამხედრო მოსამსახურით შემცირდება. 2012 წელს — ერაყსა და ავღანეთში შეიარაღებული კონფლიქტის სიმწვავის დროს — ამერიკის ჯარებში 570 ათასი სამხედრო მსახურობდა. ჯარებისა და სამოქალაქო მოსამსახურეების შემცირება დაკავშირებულია გამოყოფილი სახსრების შეზღუდვით.



წყალქვეშა... ველოსიპედი

ამ ფოტოს შემხედვარე კაცს ეჭვი არ უნდა შეეპაროს, რომ თქმა „ველოსიპედის გამოგნონება საჭირო აღარ არის“, გაცვეთილი და მოძველებული ნამდვილად არ არის.

ახალი ტიპის ველოსიპედი გარეგნულად მინი-წყალქვეშა ნავს ჰგავს. მაგრამ, მისგან განსხვავებით, ამ მოწყობილობას არა აქვს ძრავა, მოძრაობა კი ბორბლების ტრიალის შედეგია.

ამ ველოსიპედით 30 მეტრამდე სიღრმეში ჩასვლა და 20 კილომეტრამდე სიჩქარის განვითარება შეიძლება, მაგრამ ეს უკვე პედლების ტრიალის ინტენსივობაზეა დამოკიდებული.

ასევე აღსანიშნავია, რომ ტექნიკის ამ საოცრების ფასი იაფიანი ავტომანქანის ფასს არ აღემატება.

პრობლემას აკუმულირება ქმნის

თითქმის მთელი წლის განმავლობაში მზიანი დღეების, მოქმედი ვულკანებისა და ოკეანის წყალთან ურთიერთობების იშვიათად ხელსაყრელი პირობების წყალობით, რაც ელექტროენერგიის ბუნებრივი წყაროებიდან მიღების უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა, ჰავაის კუნძულები ალტერნატიული ელექტროენერგიის წარმოების მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრია.

ელექტროენერგიის ბუნებრივი წყაროებიდან მიღების ჰავაის ინსტიტუტის მეცნიერთა კვლევები, მისი ქარის, ოკეანის ტალღების მიერ წარმოშობილი, გეოთერმული, მზის, ბიომასისა და ამასთან დაკავშირებული ყველანაირი მოქმედების შედეგად წარმოქმნილი ენერგიების შესწავლასთანაა დაკავშირებული. ეს ეხება მის წარმოებას, დაგროვებას, შენახვას, გასაღებასა და სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებაში მის გამოყენებას. ასეთი აგრეგატები ნებისმიერი სხვაობისა შეიძლება იყოს – დაწყებული ელექტრომობილებიდან, რომლებიც ჩვენში, მართალია, ჯერ კანტიკუნტად, მაგრამ მაინც უკვე გამოჩნდნენ, დამთავრებული სოფლის მეურნეობის აგრეგატებით – ტრაქტორებით, კომბაინებით და ა.შ.

ესაა ძალიან ვრცელი პროგრამა, რომელსაც ჰავაის ინსტიტუტი უცხოეთის მრავალ ქვეყანასთან, მათ შორის ჩინეთთან, იაპონიასთან, საფრანგეთთან, გერმანიასთან, ასევე წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში განთავსებულ სხვა კუნძულოვან სახელმწიფოებთან ერთობლივად აწარმოებს.

მაგალითად, კუნძულ ოაჰუზე შექმნილია მსოფლიოში ყველაზე დიდი ქარის ტურბინა ჰორიზონტული ღერძით, რომელსაც წელიწადში 13,5 ათასი ბარელი ნავთობის დაზოგვა შეუძლია. ამ გზაზე ყველაზე დიდი პრობლემა კი მიღებული ენერგიის აკუმულირებაა.

უშველის საქმეს თეთრი ფერი?

დედამიწაზე სათბურის ეფექტის თავიდან აცილების ტრადიციული მეთოდები ენერგიის ისეთი სახეობების გამოყენებას ითვალისწინებს, რომლებიც გამორიცხავენ მინერალური საწვავის მოხმარებას.

ზოგიერთი მეცნიერი მზის ენერგიის ისევ კოსმოსში არეკვლის იდეას გამოთქვამს, რისთვისაც სახლების სახურავები თეთრად უნდა შეიღებოს, ოკეანეებისა და ზღვების ზედაპირები კი პოლისტიროლის ნაჭრებით დაიფაროს.

ასევე აყენებენ ყოველწლიურად ატმოსფეროში 35 მილიონი ტონა გოგირდის ორჟანგის გაფრქვევას, რაც ატმოსფეროს დანისლავს და ხელს შეუშლის მზის სითბური სხივების გავლას.

გარდა ამისა, არის კიდევ წყალმცენარეები, რომლებიც დიდი ოდენობით ნახშირორჟანგს შთანთქავენ, ამიტომ ზოგიერთი მკვლევარები მათი მოშენების იდეას აყენებს სათბურის ეფექტის შესამცირებლად.

ყველაფერ ამასთან, ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევენ ახალი ტყის მასივების მასობრივად დასარგავად, თუმცა კი, სათბურის ეფექტის ოდნავ მაინც შესამცირებლად, ყოველწლიურად მილიარდობით ხის ნერგის დარგვა იქნება საჭირო.

პროფილაქტიკის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი

მართლა გასაოცარი ამბავია: ექიმებს, რომლებსაც ეპიდემიების დროსაც კი ყოველდღიურად მრავალ ავადმყოფთან აქვთ კონტაქტი, სნეულება სხვებზე ნაკლებად ეყრებათ!

ამ ფენომენს თავად მედიკოსები იმით ხსნიან, რომ ინიფიცირებულ პაციენტებთან გამუდმებული კონტაქტი – თავისებური იმუნოთერაპიაა. ამიტომ არის, რომ დროთა განმავლობაში ბევრი ავადმყოფობის მიმართ ექიმებს გარკვეული იმუნიტეტი უმუშავდებათ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ისინი პირადი ჰიგიენის მოთხოვნებს იცავენ – ყოველი პაციენტის გასინჯვის შემდეგ ხელს იბანენ, მწვავე პაციენტებს ნიღბებში სინჯავენ, იყენებენ თანამედროვე მადეზინფექციირებელ საშუალებებს.

მეტად მნიშვნელოვანია ასევე ფსიქოლოგიური განწყობა – ავადმყოფობა საკუთარ თავზე არასდროს არ უნდა „მოირგოთ“! ცნობილია, რომ სნეულება ხშირად იმათ ეყრებათ ხოლმე, ვისაც ავად გახდომისა ძალიან ეშინია.

ამიტომაცაა, რომ ფილოსოფიური (უფრო უკეთესი კი პოზიტიური!) განწყობა, პროფილაქტიკის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

თევზი... ჩვილთათვის

მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ფეხმძიმეთათვის ყველაზე სასარგებლო პროდუქტია თევზი.

გაირკვა, რომ ქალები, რომლებიც თევზს კვირაში თორმეტჯერ მიირთმევდნენ, გაცილებით უფრო ხშირად ბადებდნენ ჯანმრთელ ბავშვებს. საქმე ისაა, რომ თევზი ომეგა-3 ცხიმოვან მჟავებს შეიცავს, რომლებიც ჩვილის თავის ტვინისა და თვალებისთვისაა საჭირო. ცხიმოვანი მჟავებით ყველაზე მდიდარი კი ოკეანის თევზი ყოფილა.

მანუალური დიაგნოსტიკა

მკერდის სიმსივნის დადგენა დაიწყეს... თვალისჩინდაკარგულმა სპეციალისტებმა.

გერმანიაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ უსინათლო ქალები 6-8 მილიმეტრის ზომის გამკვრივებას თავისუფლად პოულობენ, თუმცა კი მათი დადგენა თვალხილულ მედიკოსებსაც უჭირთ. ახლა გერმანიაში ორგანიზაცია „მგრძნობიარე ხელები“ მოღვაწეობს, მკერდის მანუალური შემოწმების საფასურს კი სამედიცინო დაზღვევა ფარავს.

„სასარგებლო“ ბაქტერიების დახმარებით

მედიკოსები რჩევას იძლევიან, რომ უქმეებზე ყველასათვის სასურველია ბუნებაში გასვლა.

ამას მნიშვნელობა მარტო იმისთვის კი არა აქვს, რომ კაცმა სუფთა ჰაერით ისუნთქოს. აღმოჩნდა, რომ „არასტერილურ“ გარემოში ადამიანი სასარგებლო ბაქტერიებთან ურთიერთობს, რომლებიც იმუნიტეტს „ავარჯიშებენ“, ეს კი, თავის მხრივ, მას ხელს უწყობს ვირუსებთან და ბაქტერიებთან ბრძოლაში. მეცნიერები ასევე აცხადებენ, რომ ხშირი გაციება და ალერგია იმ ადამიანებს უფრო მეტად ემართებათ, ვინც ზედმეტად სტერილურ პირობებში ცხოვრობს.

დაწვით თქვენი სიბრაზე!

ნევროპათოლოგებმა დაადგინეს, რომ აგრესიული კაცი სიბრაზისგან სულიერად და ფიზიკურად გაცილებით უფრო ძლიერად იტანჯება, ვიდრე ის, ვიზეც მიმართულია მისი გულისწყრომა.

ესპანელმა ფსიქოლოგებმა ნეგატიური ემოციებისგან გაცლის მეტად ეფექტიან ხერხს მიაგნეს – საამისოდ ისინი ქაღალდის ფურცელზე უნდა დაწეროთ და დაწვათ. მთელი „ფოკუსი“ ისაა, რომ ადამიანები დაწერილს მატერიალურ ობიექტად აღიქვამენ და, ამდენად, მისი განადგურებით გულიდან ბოღმასაც იცილებენ.

ვის რაში უნდა ასეთი ხილი?

გენეტიკოსებმა მარწყვის ახალი ჯიში გამოიყვანეს, რომელსაც... ატმის გემო აქვს! იაპონელმა მეცნიერებმა ის შიდა ბაზარზე მოხმარებისთვის და განებივრებული მომხმარებლისთვის შექმნეს.

იაპონიაში ცხოვრება, რომ იტყვიან, „საათივითაა“ აწყობილი – მშვიდი, სტაბილური, მაშასადამე თუკი უჩვეულო ხილზე, კენკრაზე, ბოსტნეულზე, მათ ჰიბრიდებზე მოთხოვნა წარმოიშვება, მას უმალვე აკმაყოფილებენ.

მაგალითისთვის შეიძლება საქვეყნოდ ცნობილი იაპონური კვადრატული საზამთროს გახსენება, რომლებმაც მთელი მსოფლიოს მედია აალაპარაკა.

ხენდროს ახალი სახეობა – ატმისგემოიანი კენკრა, იაპონიის ხილის ბაზრის ახალი ხუშტურია, ამომავალი მზის ქვეყნის მკვიდრთა ერთგვარი გართობა. აღნიშნავენ, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ ამ ეგზოტიკურ ხილზე მოთხოვნა ნაკლებად, ანდა საერთოდ არ იქნება, უწინარესად, მისი მაღალი ფასის გამო.

როცა ქალიშვილი... მამაკაცია

სპორტსმენებში გენდერული კუთვნილების შესახებ ლაპარაკი პირველად ჯერ კიდევ ბერლინის 1936 წლის ოლიმპიადაზე დაიწყეს.

ანაბოლიკებით გაჭყეპილი სპორტსმენები ფენომენალურ რეკორდებს ამყარებდნენ. გერმანელმა სიმაღლეში მხტომელმა ქალმა დორა რატიენმა მაშინ ყველას აჯობა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ გვარიანად დაკუნთული დორა... მამაკაცია. გაცოფებულმა ჰიტლერმა სიმაღლეში მხტომელ „ქალიშვილს“ თავი აღმოსავლეთის ფრონტზე უკრა.

თევზის ცხიმი თავის ტვინისთვის

ავსტრალიელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ თევზის ქონის შემცველი კაფსულები, რომლებსაც ფეხმძიმობის დროს მოიხმარენ, მომავალი ბავშვის იმუნიტეტს აძლიერებს.

კვების სპეციალისტების განმარტებით, A, D და ომეგა-3-ის ცხიმმჟავები ძალიან დიდი სარგებლის მომტანნი არიან. ომეგა-3-ის ცხიმმჟავებს დიდი მნიშვნელობა აქვს თავის ტვინის, თვალებისა და სისხლძარღვების განვითარებისთვის. მათი მიღების შედეგად მომავალ დედებს გაცილებით უმცირდებათ მშობიარობის შემდგომი დეპრესიის ალბათობა. მაგრამ, აღნიშნული ვიტამინების მიღება ასევე შეიძლება ცხიმიანი თევზიდან. მომავალმა დედებმა უმჯობესია კვირაში ორჯერ მიირთვან საშუალო ზომის თევზი (სკუმბერი, ქაშაყი, სტავრიდა), რადგან დიდებში გაცილებით მეტი ვერცხლისწყალი გროვდება.

უმოძრაობის საფრთხეები

ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური კვლევის ეროვნული სააგენტო (NACA) 18 ათას დოლარს გასცემს იმ მოხალისეზე, რომელიც ათი კვირის განმავლობაში გაუნძრევლად იწვება. ექსპერიმენტის მიზანია ადამიანის ორგანიზმზე უწონადობის ზეგავლენის შესწავლა.

მედიკოსთა აზრით, ორთვენახევარი გაუნძრევლად წოლა სავსებით შესაძლებელია, თუმცა კი, მოხალისეს საამისოდ შესაძლოა დიდი ძალისხმევა დასჭირდეს. ჩვეულებრივმა ადამიანმა ამ გამოცდას შეიძლება ვერც გაუძლოს. თანაც საგულისხმოა ისიც, რომ ძილის დროს ექსპერიმენტის სისუფთავის დაცვა გაცილებით რთული იქნება – როცა ადამიანს სძინავს, სხეულის მოძრაობა ავტომატურად ხდება. ამდენად, ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ გადაჭრიან აღნიშნულ პრობლემას ექსპერიმენტატორები, როგორ მოიქცევა ჯანმრთელი ორგანიზმი ასეთ უჩვეულო პირობებში. იმ შემთხვევაში, თუკი ქალა ტვინის რეცეპტორთაგან წამოსული ინფორმაცია, რომლებიც სხეულის მდგომარეობაზე რეაგირებენ, მკვეთრად და დიდი ხნით შემცირდება, მაშინ უმოქმედობით გამოწვეულ აგროფობიას და სამოძრაო ჩვევების დაკარგვის პროცესებს შეუძლიათ ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება.

დანართი 2

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. **თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:**

ლოტის №	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	ფარ თობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი ფასი (ლარი)
ლოტი №1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდალში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	142865	53.03.31.103	56200	16860	5620	30
ლოტი №2	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდალში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	72113	53.03.31.104	28400	8520	2840	30
ლოტი №3	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	32427	53.11.31.060	11500	3450	1150	30
ლოტი №4	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	20221	53.11.32.083	7200	2160	720	30
ლოტი №5	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	65959	53.11.31.063	25100	7530	2510	30
ლოტი №6	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	54513	53.11.31.064	20800	6240	2080	30
ლოტი №7	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	76301	53.11.31.065	29000	8700	2900	30
ლოტი №8	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	86976	53.11.33.138	33100	9930	3310	30
ლოტი №9	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	103995	53.09.32.027	38000	11400	3800	30
ლოტი №10	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	47144	53.09.34.102	16700	5010	1670	30
ლოტი №11	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	20272	53.09.34.103	7200	2160	720	30
ლოტი №12	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	119148	53.09.34.104	43700	13110	4370	30
ლოტი №13	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	48031	53.09.34.105	17000	5100	1700	30
ლოტი №14	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	154920	53.09.34.106	56800	17040	5680	30
ლოტი №15	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	30054	53.09.32.028	10600	3180	1060	30
ლოტი №16	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	22667	53.09.41.021	8000	2400	800	30
ლოტი №17	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	66784	53.09.32.029	24500	7350	2450	30
ლოტი №18	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	20771	53.09.34.108	7400	2220	740	30
ლოტი №19	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	108058	53.09.34.109	39600	11880	3960	30
ლოტი №20	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	101104	53.09.34.110	37000	11100	3700	30
ლოტი №21	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	14566	53.09.34.111	5200	1560	520	30
ლოტი №22	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	62449	53.09.32.030	22900	6870	2290	30
ლოტი №23	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი	8131	53.02.33.134	2 440	720	2 44	30

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბ.კ. LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბ.კ. TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

6. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2015 წლის 9 ივლისიდან 2015 წლის 7 აგვისტომდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 7 აგვისტოს დღის 15:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

7. დამატებითი ინფორმაცია ობიექტებისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350 – 23 – 21- 90.

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი

დანართი

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. **თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:**

ლოტის №	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი ფასი (ლარი)
ლოტი №1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ შალაურში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	1140	53.06.34.017	29 400	8820	2940	30
ლოტი №2	თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი თუნუქი	3750 კგ.		911	274	92	30

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბ.კ. LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბ.კ. TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

6. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2015 წლის 9 ივლისიდან 2015 წლის 7 აგვისტომდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 7 აგვისტოს დღის 14:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

7. დამატებითი ინფორმაცია ობიექტებისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350 – 23 – 21- 90.

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობებიანი საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. **თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:**

ლოტის №	ქონების დასახელებაა ადგილმდებარეობა	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ.)	შენობის ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი ფასი (ლარი)
ლოტი № 1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრწყლებში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობები	2734	№1- 153.5 №2- 153.5	53.13.31.214	35 000	10 500	3 500	30

2. სააუქციონო პირობა: აუქციონში გამარჯვებულმა ააშენოს სასტუმრო და განახორციელოს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ინვესტიცია ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 (ორი) კალენდარული წლის განმავლობაში.

3. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბ.კ. LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბ.კ. TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

5. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

7. აუქციონში გამარჯვებულს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გადაეცემა ზემოთმითითებული სააუქციონო პირობების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ.

8. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2015 წლის 9 ივლისიდან 2015 წლის 7 აგვისტომდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 7 აგვისტოს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

9. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350 – 23 – 21- 90.

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

დავიცვათ ადამიანთა შრომითი უფლებები

თბილისის საკრებულოში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიას და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარემ გულიკო ზუმბაძემ და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ ირაკლი პეტრიაშვილმა.

„საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ჩვენს პრიორიტეტს წარმოადგენს. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება აქტიურად მუშაობს ადამიანის შრომითი უფლებების დაცვის მიმართულებით. ჩვენს შორის გამოიკვეთა საერთო მიზნები, ამოცანები და ხედვები. დარწმუნებული ვარ, მემორანდუმზე ხელმოწერით დაფიქსირებული თანამშრომლობა, ხელს შეუწყობს საერთო საკითხების ეფექტიანად გადაჭრას", — განაცხადა გულიკო ზუმბაძემ ხელმოწერის ცერემონიალის შემდეგ.

მხარეები იღებენ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ შრომითი ურთიერთობების სფეროში ადამიანის უფლებების დაცვას, შრომითი კანონმდებლობით განსაზღვრული ეროვნული და საერთაშორისო ნორმების შესრულებას და სოციალური დიალოგის კულტურის დამკვიდრებას.

საქართველოში გენმოდიფიცირებული სურსათი არ გამოვლენილა

როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსმა კახა სოხაძემ განაცხადა, პროდუქციის შემოწმება მათი სააგენტოს მიერ ორი წელია, ხორციელდება, თუმცა, ამ პერიოდის განმავლობაში გენმოდიფიცირებული პროდუქცია ქართულ ბაზარზე არ აღმოჩენილა. მისივე ინფორმაციით, ძირითადად მოწმდება იმპორტირებული სურსათი, რომელიც, მსოფლიო გამოცდილებით, მიჩნეულია, გმო-ს შემცველ რისკ პროდუქტად.

„ეს არის სოიო და მისი პროდუქტები, სიმინდი და მისი პროდუქტები, კარტოფილის სახამებელი, ბრინჯი და ა.შ. საქართველოში გმო-ინდუსტრია განვითარებული არ არის და, ძირითადად, ეს ეხება იმპორტირებულ სურსათს", — განაცხადა კახა სოხაძემ. იმ შემთხვევაში, თუ სურსათი ან ცხოველის საკვები შეიცავს გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს, უნდა იყოს აღნიშვნა პროდუქციაზე დატანილი. სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტო მეორე წელია, კვლევებს ახორციელებს და ლაბორატორიულად იკვლევს სხვადასხვა სახის სურსათის ნიმუშების გამოკვლევას.

ეს პროგრამა დღესაც მიმდინარეობს და ჩვენი თანამშრომლები იღებენ ნიმუშებს, გზავნიან შესაბამის ლაბორატორიაში. ეს არის კონტროლის მექანიზმი. თუ გამოირკვევა, რომ სურსათი შეიცავს გმო-ს და მასზე არ არის დატანილი, ამის შემდომ ბიზნეს ოპერატორი დაჯარიმდება", — განაცხადა კახა სოხაძემ.

ინტერპრესი

◎ მეგობარო, გულისა!

ვეტერანი ოსტატი

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება სპორტული ტანვარჯიშის ვეტერანის, სპორტის ოსტატის ბატონი **რეზო შარაბიძის** გარდაცვალებას. ბატონმა რეზომ, ჯერ კიდევ ჭაბუკმა, პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე. სპორტულ ტანვარჯიშში ის იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის პრიზიორი. წარმატებული იყო მისი გამოსვლები ჩინეთსა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ მაშინდელი პრესა მის ოსტატობაზე ხაზგასმით საუბრობდა.

იგი სპორტულ სამყაროს არ ჩამოშორებია, თავის მეუღლესთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატთან, ოლიმპიურ ჩემპიონთან გალინა მინაიჩევა-შარაბიძესთან ერთად ახალგაზრდა თაობებს ასწავლიდა და გადასცემდა საკუთარ გამოცდილებას. დიდია ამ სპორტული ოჯახის ღვაწლი ქართული სპორტის განვითარების საქმეში, რისთვისაც საქართველოს ხელისუფლებამ არაერთგზის დააჯილდოვა ისინი სხვადასხვა მედლითა და ორდენით.

ბატონ რეზოს საქართველოს კულტურის ფონდთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა, იგი თავისი ბუნებით კაცთმოყვარე, მოყვასისა და მეგობრის გვერდში მდგომი იყო. ეს თვისებები მას დიდი მასშტაბით ჰქონდა და ამიტომაც უყვარდათ ასე თბილისელებს, და არა მარტო თბილისელებს. დასანანია და სამწუხარო, როცა მისი სპორტული კარიერის გახსენება გიხდება და უსამძიმრებ მისი გარდაცვალების გამო ასევე უდიდეს, სახელოვან სპორტსმენს, მის მეუღლეს, უკეთილშობილეს ქალბატონს — გალინას, რომელიც რეზოს განსაკუთრებული ერთგულებით ედგა გვერდში და მისი ღირსეული მეგობარი იყო. ამავე დროს, ის არის ღირსეული დედა ნათიასი და ვოვასი, რომლებიც მშობლების მოღვაწეობით ყოველთვის იამაყებენ. ჩვენ სინანულით ვემშვიდობებით ჩვენს მეგობარ რეზოს და კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებთ შარაბიძეების დიდ ოჯახს, რეზოს დას — ქალბატონ ლიას და ნათესავებს.

მერაბ ბერძენიშვილი
07.07.15.

◎ ცოცხალი ლეგენდა

ალექსანდრე მეტრეველის მორიგი აღიარება

ყველა დროის უძლიერესი ქართველი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი კიდევ ერთხელ დააფასეს: ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) მას გოტფრიდ ფონ კრამის ჯილდო გადასცა!

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი უიმბლდონის ტურნირის მსვლელობისას გაიმართა. ალექსანდრე მეტრეველს პრიზი ITF-ის პრეზიდენტმა ფრანჩესკო რიკი ბიტიმ გადასცა.

ITF-მ მეტრეველი ხსენებული თასით დევისის თასზე წარმატებული თამაშისთვის დააჯილდოვა. 60-70-იანი წლების საბჭოეთის პირველმა ჩოგანმა 1963-1979 წლებში დევისის თასზე 105 შეხვედრა გამართა და 80 მოიგო, რაც ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია ტურნირის ისტორიაში.

გოტფრიდ ფონ კრამი, ვის სახელსაც ატარებს ქართველი ჩოგბურთელისთვის გადაცემული ჯილდო, თავის მხრივ, გერმანიის ნაკრების რეკორდსმენი გახლდათ დევისის თასზე — 82 მოგება 19 მარცხის წილ (1932-1953).

კობა კობახიძე

◎ ახალ ამჰლუაში

დევდარიანი „ტრაბზონში“ იმუშავებს

„ტრაბზონის“ ახალ მთავარ მწვრთნელ შოთა არველაძეს თბილისის „ლოკომოტივის“ აწ უკვე ყოფილი თავკაცი გიორგი დევდარიანი დაეხმარება.

გიორგი დევდარიანს საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების გარდა თბილისის „თბილისში“, თბილისის „დინამოში“, გორის „დილასა“ და თბილისის „ლოკომოტივში“ უმუშავია.

კარიერის საწყის პერიოდში გიორგი დევდარიანი თბილისის „თბილისში“ მუშაობდა, სადაც ახალგაზრდა ფეხბურთელებს ლამაზ და ამავდროულად შედეგიან ფეხბურთს ათამაშებდა.

დევდარიანმა ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი გამარჯვება თბილისის „თბილისში“ მუშაობის პერიოდში მოიპოვა, როდესაც საკუთარ მოედანზე უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მონაწილე თბილისის „დინამო“ 5:0 დაამარცხა.

გიორგი დევდარიანის გორის „დილა“ ახლოს იყო ევროპა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრასთან, თუმცა, ფლეი-ოფში ვენის „რაპიდთან“ დამარცხდა.

საკლუბო კარიერის გარდა გიორგი დევდარიანი წარმატებით მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებებში.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

მარიო, მალენა, ინგა და მურტალო

მადრიდის „ატლეტიკოში“ მობურთავე მარიო სუარესს ფილმი „კუკარაჩა“, ალბათ, არა აქვს ნანახი, თორემ მის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ბევრ პარალელს გაავლებდა. უმთავრესი მსგავსება კი ისაა, რომ მარიოზე, ვითარცა მურტალოზე, მის სატრფო მალენა კოსტაზე, ვითარცა ინგაზე — ისე ჭორაობს ხალხი.

არ ვიცით, მარიო სუარესში იმალება თუ არა რაიმე კრიმინალური-მურტალოური, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ მისი გულისსწორი ამ ჯეელს ერთობ ემადლიერება და გაიძახის, ჩვენი ვნების ალში მოდრეიფე სექსის შემხედვარე კაცი იტყვის, ნეტა მესამე თვალი მომცა და მაყურებინაო.

ესპანელი მოდელის მალენა კოსტასა და მარიო სუარესის ტრფობა დიდი ხანია, პირენეის საზღვრებს გასცდა და მთელს მსოფლიოს მოედო. ერთი ისაა, რომ სუარესს ქორწინება არ სურს და როდესაც ვინმე სატრფოზე დაქორწინებას ურჩევს, ხელებს სესილია თაყაიშვილივით ასავსავებს. უნდა ახლა ამ კაცს ზედმეტი პრობლემები?

როსტომ რაჭველიშვილი

◎ შენაძენი

გოგონათა ნაკრებმა ორი ნატურალიზებული მოთამაშე დაიმატა

კალათბურთში საქართველოს გოგონათა ნაკრებმა ბელგიის აწ უკვე ყოფილი მოქალაქეები, უკანახაზელები ჰევენ ჰოიდონქსი და წარმოშობით ქართველი ელენე მანდარია (ფოტოზე) დაიმატა.

ამის შესახებ საქართველოს კალათბურთელ გოგონათა ნაკრების მენეჯერმა გივი (გია) სანაძემ განაცხადა. „ჰოიდონქსმა და მანდარიამ უკვე მიიღეს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა, გუნდს შეუერთდნენ და ახლა მასთან ერთად ვარჯიშობენ“.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს კალათბურთელ გოგონათა ნაკრები მწვრთნელების ლელა ცანავასა და როლანდ გელოვანის ხელმძღვანელობით თბილისი 2015-ის ოლიმპიურ ფესტივალში მონაწილეობისათვის ემზადება. საქართველოსთან ერთად ჯგუფში ჩეხეთის, ბელგიისა და თურქეთის ნაკრები გუნდები მოხვდნენ, რომლებიც მომდევნო ეტაპზე გამსვლელი ორი ადგილისთვის იბრძოლებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

უიმბლდონის ნახევარფინალში უილიამსი შარაპოვას დაუპირისპირდება

უიმბლდონის ტურნირზე ქალთა შორის მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა და უკვე ცნობილია ნახევარფინალური წყვილები.

გარბინე მუგურუზა ბლანკომ ტიმეა ბაჩინსკი ორ სეტში 7:5, 6:3 დაამარცხა და ნახევარფინალში გააღწია. რეიტინგში მე-20 ადგილზე მყოფი ესპანელი ჩოგბურთელი გასულ წელს უიმბლდონს პირველივე ეტაპიდან გამოეთიშა, ახლა კი რეიტინგში სერიოზული წინსვლა ელის.

აგნეშკა რადვანსკამ მძიმე ბრძოლაში მედისონ კიზი 7:6, 3:6, 6:3 დაამარცხა და ნახევარფინალში ზემოთ ხსენებულ მუგურუზას დაუპირისპირდება. პოლონელი წინა წელს უიმბლდონს მერვედფინალში გამოეთიშა. კიზისთან ურთიერთშეხვედრებს რაც შეეხება, რადვანსკა უდავო ლიდერია (4 — 0).

უიმბლდონის მიმდინარე გათამაშებაში პირველი სეტი წააგო მარია შარაპოვამ. ამერიკელ კოკო ვანდეგეგესთან დაპირისპირების პირველი პარტია რუსმა 6:3 მოიგო, ხოლო მეორე ტაიბრეიკზე 6:7 დათმო. გადამწყვეტ სეტში ამერიკელმა საკუთარი მოწოდება სამჯერ დათმო და საბოლოოდ შარაპოვამ 6:2 იმარჯვა. რუსმა 10 ორმაგი შეცდომა დაუშვა, ვადევეგემ კი — 8.

ნახევარფინალში შარაპოვას მეტოქე სერენა უილიამსი იქნება. ამერიკელმა კიდევ ერთხელ გადაიტანა მძიმე ბრძოლა და 2 საათსა და 7 წუთში ვიქტორია აზარენკა 3:6, 6:2, 6:3 დაამარცხა. ამერიკელი წინა წელს უიმბლდონს მე-16 ფინალში გამოეთიშა. უილიამსმა ბელარუსი ჩოგბურთელი მეთვრამეტედ დაამარცხა, ხოლო აზარენკას სერენა 3-ჯერ ჰყავს დამარცხებული.

ნახევარფინალში უილიამსსა და შარაპოვას დაპირისპირებაში უდავო ლიდერად ამერიკელია შერაცხული. ურთიერთშეხვედრებში სერენას 17 მატჩი აქვს მოგებული, ხოლო მარიამ ორი შეხვედრა მოიგო, აქედან ერთი კი განსაკუთრებული გახლდათ — 2004 წელს რუსმა ამერიკელი უიმბლდონის ფინალში 6:1, 6:4 დაამარცხა. მუგურუზასა და რადვანსკას დაპირისპირებას დიდი ისტორია არა აქვს. ურთიერთშეხვედრებში თანაფარდობაა (2 — 2).

მანუჩარ გიორგაძე

◎ დედაქალაქი

საფეხბურთო „ფიესტის“ მოლოდინი

თბილისი დიდი საფეხბურთო ზეიმის მოლოდინშია — 11 აგვისტოს „დინამო არენა“ ევროპის სუპერთასის გათამაშებას უმასპინძლებს, რომელსაც ესპანური ფეხბურთის გრანდები „ბარსელონა“ და „სევილია“ შეეცვლებიან.

ამ მართლაც ღირსშესანიშნავ სპორტულ პაექრობაზე დასასწრებად ქართველ გულშემატკივართათვის გამოყოფილი 24 ათასი ბილეთის გაყიდვა 11 ივლისის დილის 9 საათიდან დაიწყება. საგანგებოდ ამ ღონისძიებისთვის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონთან 13 ახალი სალარო დაიდგა. ბილეთების შეძენის მსურველებს სალაროებთან რიგრიგობით შეუშვებენ, ერთდროულად მათ აღებას მხოლოდ რამდენიმე ათეული კაცი შეძლებს, თანაც თითოეულს ოთხ ბილეთზე მეტის ყიდვის უფლება არ ექნება.

მათთვის, ვისაც სხვაზე მეტად სჭირდებათ მზრუნველობა

უნარშეზღუდულ მოქალაქეებზე ზრუნვა ნებისმიერი ზნეობრივი საზოგადოების ერთ-ერთი უწინარესი მოვალეობაა. ამ მხრივ თბილისში ბოლო დროს არაერთი სასიკეთო რამ გაკეთდა, უწინარესად ტროტუარებსა და ქუჩების სავალ ნაწილს შორის პანდუსები.

ახლახან კი კიდევ ერთი მეტად საგულისხმო კარგი საქმე გაკეთდა ვაკის პარკში დასვენების მსურველი ჩვენი უნარშეზღუდული თანამოქალაქეებისთვის. მის მთავარ შესასვლელში მათთვის სპეციალური ლიფტი დამონტაჟდა, რომლითაც ისინი ჭავჭავაძის პროსპექტიდან პარკის კიბის ბაქანზე ჩასვლას, იქიდან კი უშუალოდ პარკში მოხვედრას ასევე საგანგებოდ მოწყობილი პანდუსით შეძლებენ.

ბუნებრივია, რომ ეტლებით გადაადგილება არა მარტო უნარშეზღუდულ, არამედ სულ პატარა თბილისელებსაც და დედაქალაქის სტუმარ პატარებსაც უხდებათ, ამდენად პარკიდან ჭავჭავაძის პროსპექტის მეორე მხარეს გაკეთებული საგანგებო ბილიკები მათაც და მათ ახლობლებს დიდად წაადგებათ.

დალი ხუნდაძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



სანთელი

დათო ბექაური



ღირსეული თბილისელი, მოყვასი პიროვნება, მეგობრებსა და ახლობლებში გამორჩეული ბრწყინვალე ოჯახიშვილი... **ალექსი ბექაურს** კარგი ყმის სახელი და კეთილი საქმეები დღემდე მოჰყვებოდა. პირველსკოლელი დავით ყიფიანის ერთგული მეგობრობა, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ჯარის ურთულესი წლები... ის იყო კაცი, რომელმაც ისე იცხოვრა, როგორც ეკადრებოდა მის შესანიშნავ ოჯახს, სჭირდებოდა ქალაქს, ქვეყანას, საზოგადოებას.

ღმერთმა აცხონოს დათო ბექაურის სული.

მეგობრები

◎ ჩვენი კარაბადინი

როგორ დავამარცხოთ საუკუნის დაავადება

გამოკითხვებმა აჩვენეს, რომ ადამიანებს ყველაზე მეტად კიბოთი დაავადების ეშინიათ.

მომღერალ ჟანა ფრისკეს ტვინის კიბოთი ტრაგიკულმა დაღუპვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა — ეს დაავადება არ ინდობს იმ ახალგაზრდებსაც კი, ვინც ცხოვრების ჯანსაღ წესს იცავს.

ონკოლოგიური ფრონტის უკანასკნელი ახალი ამბების შესახებ გვიამბობს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რუსეთის ჯანმრთელობის დაცვის რადიოლოგიის ეროვნული სამედიცინო კვლევის ცენტრის გენერალური დირექტორი ანდრეი კაპრინი.

— ბატონო ანდრეი, რამდენად უკეთესია უცხოეთში მკურნალობა, ვიდრე ჩვენში?

— მე სპეციალიზაცია გერმანიაში გავიარე და უდიდესი პატივისცემით ვეპყრობი გერმანულ მედიცინას. მაგრამ სამედიცინო ტურისტების მკურნალობა ძირეულად განსხვავდება ქვეყნის მოქალაქეთა მკურნალობისაგან. საადაზღვევო კომპანიებს ქვეყნის „არამოქალაქეების“ მკურნალობის ხარისხი სულაც არ აინტერესებთ, ინფორმირებული შეთანხმება კი, რომელსაც ხელს სამედიცინო ტურისტები აწერენ, გულისხმობს პრეტენზიების უქონლობას და თანხმობას ყველაფერზე, ზოგჯერ ორგანოების ამოღებასაც გარდაცვალების შემდეგ. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში — საზღვარგარეთ დაეცა მკურნალობის ხარისხი. დარწმუნებული ვარ, რომ ამჟამინდელ სიტუაციაში აზრი არა აქვს უცხოეთისკენ მისწრაფებას — ჩვენში უკვე დიდი ხანია, მკურნალობენ იმავე სტანდარტებით და იგივე შედეგებით.



— მაგრამ ჩვენთან კარგ ექიმთან ქუჩიდან ვერ მოხვდები. თქვენს ცენტრში, მაგალითად, ფასიან მკურნალობაზეც კი ორი თვით ადრე უნდა ჩაეწერო...

— უარესი იქნებოდა, ჩვენი ექიმები უსაქმოდ რომ ისხდნენ. კომერციულ განყოფილებაშიც კი მკურნალობა ჩვენთან ხელმისაწვდომია, დახმარებას კი უწევენ ღირსეულს. მაგრამ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს არ შეუძლია მოემსახუროს მთელ ქვეყანას, ამიტომ ვზრდით კიდეც ჩვენ კონკურენტებს რეგიონებში — ეს ჩვენს მუშაობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა.

— გამოვიდა დადგენილება, რომელიც ონკოლოგებს ავალებს, თვალ-ყური გაადევნონ პაციენტების სუიციდურ მიდრეკილებას. გადაწყვეტს ეს თვითმკვლელობის პრობლემას?

— ნებისმიერი სპეციალობის ექიმმა, მათ შორის ონკოლოგმაც, უნდა უმკურნალოს პაციენტს, და არა მის დაავადებას და თვალ-ყური გაადევნოს არა მხოლოდ ძირითადი დაავადების სიმპტომებს, არამედ ფსიქოლოგიურ მდგომარეობასაც. მაგრამ, სანამ ონკოლოგებს ასეთ ვალდებულებებს დავაკისრებდეთ, მათ უნდა ვასწავლოთ. ასეთი მუშაობა მიმდინარეობს. სერბსკის სახელობის ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის ცენტრთან ერთად ჩვენ სწავლების პროგრამა დავამუშავეთ.

ლიცენზია მავნებლობისათვის

— 2015 წლის პირველ ნახევარში მკვეთრად გაიზარდა სიკვდილიანობა ონკოპაციენტებს შორის?

— ჩვენი ავადმყოფების ლეტალურობა გაიზარდა — კერძოდ, გაიზარდა სიკვდილიანობა ეგრეთ წოდებული „ქალი კიბოს“ (საშვილოსნოს ყელის), ფილტვის კიბოს ყველაზე აგრესიული ლოკალიზაციისაგან. ჩვენ დავიწყეთ მეტი ავადმყოფების მიღება დაავადების მიშვებული ფორმებით (რეგიონებში უკვე ისწავლეს საწყისი ფორმების მკურნალობა). მაგრამ ერთად ჩვენ ვისწავლეთ იმ ავადმყოფების მოვლა, რომლებიც ცოტა ხნის წინათ უიმედოდ ითვლებოდნენ (უამრავი მეტასტაზით). მაგალითად, ყოველი მესამე ღვიძლის უამრავი მეტასტაზების რეზექციის ოპერაციის შემდეგ ცოცხლობს საშუალოდ 5 წელი. სულ ცოტა ხნის წინათ კი ყველა მათგანი იღუპებოდა. ჩვენ ვისწრაფვით ერთწლიანი სიკვდილის სერიოზული შემცირებისაკენ (როდესაც ადამიანი იღუპება ერთი წლის განმავლობაში დიაგნოზის დასმის მომენტიდან) — ასეთ ავადმყოფთა რიცხვი 25-27 პროცენტით შემცირდა. ახლა ავადმყოფები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, მაგრამ სიკვდილიანობა მაინც არსებობს.

— 2015 წლის დასაწყისში არაეფექტიანად იქნა მიჩნეული საყოველთაო დისპანსერიზაციის პროგრამა. როგორ უყურებენ ამას ონკოლოგები? თქვენთვის ხომ მნიშვნელოვანია, გამოავლინოთ დაავადება სწორედ ადრეულ სტადიაში.

— ყოველწლიურად ჩვენ ვავლენთ დაახლოებით 500 ათას ახალ პაციენტს — მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა პირდაპირაა დაკავშირებული იმაზე, თუ რომელ სტადიაში გამოვლინდა დაავადება. რასაკვირველია, ყველას შემოწმება ყველაფერზე — ძვირია და არაეფექტიანი. კერძოდ, ჩვენ დავრწმუნდით, რომ საყოველთაო ფლუიროგრაფია უაზრობაა. არა აქვს აზრი იმასაც, შეამოწმო ყველა მამაკაცი (როგორც ეს ადრე იყო რეკომენდებული). ადრეული დიაგნოსტიკის პროგრამის გაუქმება არ შეიძლება, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს მისამართი. ჩვენმა კოლეგებმა დროულად უნდა გამოგვიგზავნონ პაციენტები ონკოსიფრთხილით. გინეკოლოგებმა — პაციენტები პაპილომა-ვირუსით, გასტროენტეროლოგებმა — კუჭ-ნაწლავთა პოლიპოზით, ავადმყოფები ნებისმიერი კუჭისა და კუჭნაწლავთა ნებისმიერი ანთებით...

— გენეტიკური ანალიზი ასი პროცენტით ავლენს ონკოლოგიური დაავადებებისადმი მიდრეკილებას?

— გენეტიკური ანალიზი საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ მხოლოდ გენეტიკური მუტაციები, რომლებმაც შეიძლება კიბო გამოიწვიონ, მაგრამ ეს არაა დაავადების დადასტურება და არც იმის გარანტია, რომ იგი განვითარდება. არის მუტაციები, რომლებთან ერთადაც ადამიანი ცოცხლობს ღრმა სიბერემდე და იღუპება სხვა დაავადებისაგან, ამიტომ გენეტიკური ანალიზი ხელს უწყობს კანცეროფობიის მხოლოდ განვითარებას. ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად გაცილებით საიმედოა, დროულად გავიაროთ ონკოლოგების მიერ რეკომენდებული გამოკვლევები.

დამნაშავეა — სტრესი

— როგორ უყურებთ კიბოს მკურნალობას სახალხო საშუალებებითა და მცენარეული პრეპარატებით?

— სკეპტიკურად. არ გამოვრიცხავ, რომ რომელიმე შინაური წამალს შეიძლება ჰქონდეს ეფექტი, მაგრამ ეს რომ დაამტკიცო, უნდა მოაწყო გამოკვლევა პაციენტების დიდ ჯგუფზე. მოვაწყოთ ასეთი გამოკვლევა ონკოპაციენტებზე, ვისთვისაც დრო გადამწყვეტი ფაქტორია, არაჰუმანურია.

— სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ კიბო — ეს სტრესის და გაჭიანურებული ფსიქიკური ტრავმების შედეგია.

— ონკოლოგიური სამსახური შექმნა სტალინმა ომის დამთავრებამდე 10 დღით ადრე — 1945 წლის 30 აპრილს. გენერალისიმუსმა მიიწვია აკადემიკოსები და შეეკითხა მათ, თუ მედიცინის რომელი მიმართულება იქნება ყველაზე მოთხოვნადი ომისშემდგომ წლებში. და მიიღო პასუხი, რომ დიდი მწუხარების, ტანჯვისა და წამების მთავარი შედეგი გახდება... კიბო. არის ვარაუდი, რომ ადამიანის ტვინში არის ცენტრი, რომელიც კონტროლს უწევს უჯრედების დაყოფას, იგი კი მწყობრიდან გამოჰყავს (რის შედეგადაც იწყება უჯრედების ქაოტური დაყოფა — კიბოს დასაწყისი) ძლიერ ემოციებს. ამიტომ ცხოვრებაზე გაწონასწორებული შეხედულება —ესეც ონკოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის ერთ-ერთი ხერხია.

ЗДОРОВЬЕ

როგორ გავუმკლავდეთ სტრესს

ისუნთქეთ უფრო ღრმად

ეს არის ყველაზე სწრაფი და ეფექტიანი საშუალება, დროზე მოეგოთ გონს, თუ ნერვიულობთ. სუნთქვის მოწესრიგების ყველაზე მარტივი სახეობაა — ამოისუნთქეთ ჩასუნთქვაზე ორჯერ უფრო მეტი ხნით.

იფიქრეთ კარგზე

ნუ დაიგროვებთ ნეგატიურ ამბებს. მოვლენის შესახებ თანამგრძნობ ადამიანთან მარტივი საუბარიც კი გულს გიმშვიდებთ.

მიმართეთ სპორტს

აქტიური ფიზიკური დატვირთვები ასუსტებს ნერვულ დაძაბულობას და სტიმულს აძლევს ენდორფინების (ესაა კარგი განწყობილების ჰორმონები) გამომუშავებას.

დაიცავით რიტუალები

არასასიამოვნო ამბებმა არ უნდა დაარღვიოს თქვენთვის ჩვეული ცხოვრების მიმდინარეობა. საღამოს გასეირნება ან დილის ყავა — ეს ის ღუზებია, რომლებიც გრიგალის დროს გვიცავენ.

◎ დასვენება

სად შეგვიძლია, დავისვენოთ 500 ლარის ფარგლებში?

ყველაზე იაფი და ძვირად ღირებული კურორტები საქართველოში

ლარის უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში გაუფასურებამ თითქმის ყველა პროდუქციისა და მომსახურების გაძვირება გამოიწვია, გამონაკლისი არც ტურიზმის სფერო აღმოჩნდა. შექმნილი ეკონომიკური ვითარება უცხოელ ტურისტებზე მეტად ადგილობრივ ვიზიტიორებზე აისახა. ზაფხულის დადგომასთან ერთად კი უფრო აქტუალური ხდება საკურორტო სეზონთან დაკავშირებული პრობლემები და დასვენების ფასები. Ambebi.ge **დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა წელს, საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანმა ერთი კვირით საქართველოს რომელიმე კურორტზე 500 ლარად დაისვენოს.**

როგორც ტუროპერატორთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ია თაბაგარმა აღნიშნა, ამ ფასად შესაძლებელია დასვენება, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამსვენებელი საოჯახო სასტუმროებში გაჩერდება. **„თუ საოჯახო სასტუმროებს ავიღებთ და დასვენება გვინდა საკურორტო ზონებში, 500 ლარად დასვენება შესაძლებელია როგორც მთის კურორტებზე, ასევე ზღვის კურორტებზეც. მაგალითად, ყაზბეგის საოჯახო სასტუმროებში კვებით ერთი ღამე 40-50 ლარი ჯდება. მგზავრობაც არ ღირს ძვირი სამარშუტო ტაქსით. ამ ფასად ერთი კვირით დასვენება შესაძლებელია სვანეთსა და შოვშიც. რაც შეეხება ზღვის კურორტებს, 1 კვირით 500 ლარად დასვენება შეგიძლიათ ქობულეთში, ბუკნარში და ციხისძირშიც, სადაც არის საოჯახო სასტუმროები კვებით. ერთი ღამის გათენება დაახლოებით 40 ლარი რომ ვიანგარიშოთ, 500 ლარი, მგზავრობის ჩათვლით, აბსოლუტურად საკმარისია“,** — აღნიშნა ია თაბაგარმა.

რაც შეეხება ყველაზე ძვირად ღირებულ კურორტებს, ტუროპერატორთა ასოციაციის ხელმძღვანელი ამბობს, რომ მათ რიცხვში კვარიათი, მესტია და ყაზბეგი შედის. თუმცა, აქაც ფასები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დონის სასტუმროს ავირჩევთ. **„ყველაზე ძვირ კურორტებს შორის არის კვარიათი, შეიძლება ითქვას. თუმცა, იქ ყველა დონის სასტუმროა. ძვირიანი სასტუმროები არის მესტიაშიც, ყაზბეგშიც. ძვირად ღირებულ სასტუმროებში 500 ლარი ნამდვილად არ ეყოფა დამსვენებელს. ანუ ფასი დამოკიდებულია სასტუმროს დონეზე“,** — აღნიშნა ია თაბაგარმა AMBEBI.GE-სთან საუბრისას.

რაც შეეხება კახეთის რეგიონს, სიღნაღში, ყვარელში, თელავსა და ლაგოდეხში საოჯახო სასტუმროებშიც დაახლოებით იგივე ფასებია, რაც ზღვის კურორტებზე და მაღალმთიან რეგიონებში. ია თაბაგარის თქმით, ამ რეგიონში დასვენება ყველაზე ძვირი ტბების ირგვლივ მდებარე სასტუმროებშია: **„სასტუმროები, რომლებიც ყვარლის, ილიას, ლოპოტას ტბებთან არსებობს, არის მაღალი კლასის სასტუმროები. თუმცა, მათზე ძვირს ვერ ვიტყოდი, ვინაიდან ფასი შეესაბამება მის კატეგორიას. ინფრასტრუქტურა არის დახვეწილი, მომსახურებაც. ძვირი შეგვიძლია ვთქვათ მაშინ, როდესაც ფასი და მომსახურება არ შეესაბამება ერთმანეთს“.**

მათ, ვისაც აქტიურად სურს დასვენება, შეუძლია შიდა ტურებით ისარგებლოს. არაერთი ტუროპერატორი მსურველს რამდენიმედღიან ტურებს სთავაზობს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია ისტორიული ადგილების მონახულება და თან გართობა. სამდღიანი ტურები თუშეთსა და სვანეთში, საშუალოდ 150-250 ლარს შორის მერყეობს.

საქართველო მდიდარია კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებით. ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში 12 ათასზე მეტი ეროვნული მნიშვნელობის ძეგლია. არსებობს სამკურნალო მიმართულების 2 400-ზე მეტი მინერალური წყალი, ამას გარდა, ქვეყანაში 103 კურორტია. ამგვარად როგორც უცხოელ, ასევე ქართველ დამსვენებელს დიდი არჩევანი აქვს. საკმაოდ მრავალფეროვანი არჩევანია ფასების მხრივაც.

თამთა ჯიჯავაძე
AMBEBI.GE

რეკლამა
293-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

◎ ინფორმაცია

სად გადაჰქონდათ არსენალი?

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიულ სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დანაშაულებრივი ჯგუფის 11 წევრი — 1958 წელს დაბადებული ზურაბ გ, 1975 წელს დაბადებული ირაკლი ც, 1979 წელს დაბადებული გიორგი თ, 1975 წელს დაბადებული ლაშა დ, 1987 წელს დაბადებული ვასილ ლ, 1959 წელს დაბადებული სოლომონ ლ, 1991 წელს დაბადებული ზაზა პ, 1988 წელს დაბადებული გიორგი თ, 1967 წელს დაბადებული ხვიჩა ს, 1976 წელს დაბადებული მამუკა მ. და 1958 წელს დაბადებული გელა გ. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, გადაზიდვის და გასაღების ბრალდებით დააკავეს.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

იყიდება

დედოფლისწყაროში ორსართულიანი წითელი აგურით ნაშენი, თუნუქით დახურული სახლი ეზოთი. 12 ოთახი, სველი წერტილებით, სათავსოებით, ბუხრებით, თანამედროვე რემონტით. ხეხილით გაშენებული ეზოს საერთო ფართი 9 ათასი კვ. მ. შესანიშნავი ხედით. ბუნებრივი აირი და წყალი მუდმივად. ოთახების განლაგება საშუალებას იძლევა სახლი გადაკეთდეს სასტუმროდ. ფასი შეთანხმებით.
ტელ. 223296. 599 357 697. 514 333 324.

იყიდება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **ძვირფასო,** მე შენთვის მართლაც ასეთი ერთადერთი ვარ? — ეკითხება ცოლი ქმარს.
— ჰო, საყვარელო, მეორე შენნაირს ვერ გადავიტან!

* * *

— ოი, აბრამ, ისევ შემოგვიარეთ! თქვენი წასვლის შემდეგ ისეთ კარგ ხასიათზე ვდგებით ხოლმე!...

* * *

— **მოშე,** რა იყიდე?
— სერვიზი 24 პერსონისთვის!

— რა ჯანდაბად გინდა ამდენი ხალხი სახლში?

* * *

— **დაშა,** თქვენ პირველი გოგო ხართ, ვინც მიყვარს!
— ო, ღმერთო ჩემო! ისევ დამწყები!

* * *

უცნაურ ქვეყანაში ვცხოვრობთ რუსები. ჩვენთან „რადუგა“ შავ-თეთრ ტელევიზორს ჰქვია, „ნეჟნოსტი“ — ხელბორკილებს, „დრუჟბა“ — ბენზინის ხერხს, „ჩერიომუხა“ — ცრემლსადენ გაზს, „მირი“ კი — საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებს.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24